სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 29 ივლისი 2003 №138 (1910) | ფასი 50 თეთრი

რა ქა-რთულია ყველაფერი

ცოტა ხალხი, ბევრი გოლი საწყალთა კარში, უშუქობა, უჭიმნობა, რა თქმა უნდა, პროტესტი და ცოტაც ფეხბურთი







ბადრი კეთილაძის და ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტოები

საქართველოს უმაღლესი პირველი ლიგა ჩემპიონატი ეტაპი

1 ტური

შვეიცარიულიათვით ხომერიკი ბოლოში აწკრიალდა

ბაფარი ჯეფლაძის ფოტო

ლევან ხომერიკმა ბოლნისელთა ალყა გოლით გაარღვია

დავით თავართქილაძე

„ლოკომოტივმა“ ყველა ახალწვეული ვერ შეიყვანა განაცხადში, რადგან სატრანსფერო ფურცლები იგვიანებენ. ამის გამო რკინიგზელებს სათადარიგო მეკარეც კი არ ჰყავდათ სამატჩო განაცხადში.

თვით მატჩი კი დაძაბული გამოდგა, თუმც ხარისხი მას ერთობ აკლდა. ბოლნისის „სიონს“ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, მრავალნაკადი, დაღვინებული ფეხბურთელები, რომელთაგან ზოგს ეროვნულ ნაკრებშიც კი უთამაშია. სახელიანი ფეხბურთელებით „ლოკომოტივიც“ დაიკვეხნის.

თემურ მახარაძის გუნდმა ის ითამაშა, რაც იცის. „ლოკომოტივს“ კი ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც რკინიგზელებს სხვანაირ ფეხბურთს ათამაშებს — არა ისეთს, რასაც „ლოკომოტივი“ უწინ თამაშობდა. რევაზ არველაძის სამწვრთნელო სტილი „დინამოში“ ნახევარსეზონიანი მუშაობითაა ცნობილი.

თამაშის გაშლა და ფლანგების რაც შეიძლება ხშირად გამოყენება — მარჯვნიდან რომან გოგინაშვილს უნდა ეაქტიურა, მარცხნიდან დავით ქოქიაშვილს. თავდასხმაში ლევან ხომერიკის მეწყვილე დავით სირაძე გახლდათ, ხოლო დაცვაში „ლოკომოტივმა“ ოთხი კაცი დააყენა — ასეთი იყო გუშინ „ლოკომოტივი“, მაგრამ არველაძემ სირაძე პირველ ტაიმშივე გადასწია ნახევარდაცვაში.

„სიონმა“ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშა, თუმც ბორის გონჩაროვს მონდომებით ეხმარებოდნენ ალეკო კოშკაძე, ვიტალი დარსანია და იური გაბისკირია. საყრდენი ნახევარმცველი შეუპოვარი ვალტერ გუჩუა გახლდათ. ერთი სიტყვით, ასეთია საევროტურნირიროდ შემართული „სიონის“ შეტევის ძალა.

პირველი საგოლე შანსი „ლოკომოტივს“ მიეცა — გოგინაშვილმა მარჯვნიდან წამოიწყო კონტრშეტევა, მარცხნივ ქოქიაშვილმა და ბურნაძემ კარგად გაათამაშეს ბურთი, მაგრამ მახვილი კუთხიდან, ახლოდან ქოქიაშვილმა არაზუსტად დაარტყა.

„სიონმა“ მეტოქის ამ ჩხვლეტას გოლით უპასუხა. ჯარიმა კოშკაძემ მოინადირა, ცოცხალი კედლის წინ დადებულ ბურთსაც გადაურბინა, დარტყმა კი გაბისკირიამ იკისრა და შურდულივით შეაწყვიტა ბურთი გიორგი ლომაიას კარის ბადეს.

არველაძემ შეცვლას და ტაქტიკურ გადაადგილებებს მიმართა — კობახიძემ სირაძის ადგილი დიკავა, ხოლო დაცვის ხაზი სამკაციანი გახდა. ამან ოდნავ გამოაკეთა „ლოკომოტივის“ თამაში, თუმც რკინიგზელთა გუნდს მოედნის ცენტრში ბატონობა და დალაგებულად თამაში მაინც უჭირდა.

გაბისკირიამ ერთხელაც სცადა ბედი საჯარიმო დარტყმით, მაგრამ ლომაიამ იყოჩალა. ფანჩულიძე-გუჩუას კომბინაციის შემდეგ კი კოშკაძეს მართებდა გატანა, თუმც მისი დარტყმა უხეირო გამოდგა.

მატჩის ბოლო თხუთმეტი წუთისთვის „ლოკომოტივმა“ თითქოს ძალა მოიკრიფა. ჩინებული შანსი გაანიავა ლადო კაკაშვილმა — ხომერიკის მიერ დაგორებული ბურთი 13-14 მეტრიდან ვერ დაუმიზნა თემურ ვოლკოვის კარს. რამდენიმე წუთიც და ხომერიკმა კუთხური მოინადირა. ქოქიაშვილის ჩაწოდებული ბურთი კობახიძემ თავით დაუგდო ხომერიკს, შვეიცარიამოვლილმა თავდამსხმელმა კი ვოლკოვსა და კარში ჩამდგარ მცველებს შორის კარგად გააძვრინა ბურთი — 1:1.

რკინიგზელებს მოგებაც შეეძლოთ — ლაშა სალუქვაძე ფორვარდის პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ ხომერიკის ჩინებული პასის შემდეგ გასატანი ვერ გაიტანა — რატომღაც შეყოვნდა და ბურთიც ააცალეს.

სულ ბოლოს ისევ გაბისკირიამ გაისროლა შორიდან, თუმც ლომაია ფხიზლად იყო და ლოგიკური ფრეც გამოდნა.

თბილისი. 28 ივლისი. 18.30 საათი. ლოკომოტივი. 1 000 ტაფადობა (25 600)

ლოკომოტივი 1:1 სიონი

01 გაბისკირია (24), 1:1 ხომერიკი (78)

ლოკომოტივი: ლომაია, ლ. სალუქვაძე, ფანჩულიძე, ბ. ბურნაძე (ბ. კაკაშვილი 60), ქოქიაშვილი, გოგინაშვილი (ხოსელი 75), სირაძე, სიჭინავა, გ. ონიანი (კობახიძე 31), რ. ონიანი, ხომერიკი
სათადარიგოში: ხუციშვილი, ფლონტი
მწვრთნელი: რევაზ არველაძე

სიონი: ვოლკოვი, ავაკიანი, ბუდაგაძე, ქოქიაშვილი, გუჩუა, გაბისკირია (ბაქრაძე 90), ფანჩულიძე, გაბიდური, გონჩაროვი (ბ. ნიშნიანიძე 73), დარსანია (ფიშვანელი 63), კოშკაძე
სათადარიგოში: ა. ლაბაძე, ონიანი, ბ. ზენგელია, გ. ზენგელია
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: რ. ონიანი (31), ავაკიანი (34), ფიშვანელი (36), ვოლკოვი (72), გუჩუა (77), კაკაშვილი (81), სიჭინავა (87)

გაძევება: რ. ონიანი (90)

მსაჯები: ა. შალაშვილი, ვ. ბაბრაძე, ნ. ოქუაშვილი (სამივე ქუთაისი), ი. ჯანიანი (თბილისი)

სტუმარ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე მეთვალყურეობა: ბ. ბაბუკაშვილი

ჯარიმა: 13-14, კუთხური: 4-3, კარისკენ დარტყმა: 43, კარში დარტყმა: 2-9, თამაშგარეშე: 2-0

ბაფარი ჯეფლაძის ფოტო

სპარტაკელებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ ვიტალი დარასელიას თანაგუნდელებთან რას გახდებოდნენ

ავადმყოფმა მადიანად ივახშმა

ტირანაგამოტირებული დინამო სალანსე ტორპედოსთვის ემზადება

თბილისი. 26 ივლისი. 18.30 საათი. ბრუნვული. 700 ტაფადობა (70 900)

დინამო 6:0 სპარტაკი

10, 2:0 ახალაია (18, 24), 3:0 მელქაძე (47), 4:0 გოგობერიშვილი (54), 5:0 ახალაია (57), 6:0 გოგობერიშვილი (78)

დინამო: ზოიძე, კარლოსი (ბობოხიძე 65), ნარეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია (ა. სამხარაძე 50), ბურდული, მელქაძე (იაშვილი 59), ახალაია
სათადარიგოში: გვარამაძე, ჯანდელაკი, ექონია
მწვრთნელი: ივო შუშაკი

სპარტაკი: ჩოხახიძე, ფეანია, ნარინაია (დონდოლაძე 75), ინანიშვილი, ეგაძე (ბოლქვაძე 46), სულაქველიძე, გ. დოლიძე (56), ალადაშვილი, კვირიკაშვილი, ყოტრიკაძე, ებანოიძე
სათადარიგოში: შეფრილაძე, ჯუხუელაძე, შელია, ჯანგიძე
მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

მსაჯები: ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. მიისურაძე (ყველა თბილისი)

სტუმარ-ის ინსპექტორი: ა. მილბერგი; მეთვალყურეობა: რ. ზოთაძე

ჯარიმა: 10-17; კუთხური: 10-3; კარისკენ დარტყმა: 15-3; კარში დარტყმა: 12-2; თამაშგარეშე 5-2

ბაფარი ჯეფლაძის ფოტო

სპარტაკელებმა თავი არ დაზოგეს, მაგრამ ვიტალი დარასელიას თანაგუნდელებთან რას გახდებოდნენ

კობა ინასარიძე

ცუდ დროს მოუხდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „სპარტაკს“ ქვეყნის ჩემპიონთან თამაში: პირველსავე ტურში ზუგდიდის „ლაზიკას“ ადგილმონაცვლე სპარტაკელები გაავებული „დინამოს“ ხახაში აღმოჩნდნენ. მასპინძლებმა საწყალი „სპარტაკიც“ ისე გადასანსლეს, ერთი არ ამოუსუნთქიათ.

სხვა არც იყო მოსალოდნელი, „ტრირანასთან“ მარცხნაჭამი „დინამო“ დაინდობდა პირველ მეტოქეს? საწყისი 10-15 წუთი მასპინძლებს თამაშის ასაწყობად დასჭირდათ, თანაც კიდევ უფრო გაღიზიანდნენ, როცა ალადაშვილმა მათი კარისკენ სახიფათოდ დაარტყა და დაიწყეს...

ახალაიამ ხუთ წუთში მოუმთავრა საქმე „სპარტაკს“. ჯერ მელქაძე-გოგობერიშვილის გათამაშებული ბურთი აუღელვებლად შეაგორა ჩომახიძის კარში, მერე კი დარასელიას ჩაწოდებულს დაჭრა თავი, ბურთი ძელმა აისხლიტა, რასაც ახალაიასვე თავური და ანგარიშის გაორმაგება მოჰყვა.

„დინამო“ დამშვიდდა და ბურთი გააგორა. მეტოქე მაინცდამაინც არ შეუწუხებია, თუმც არც თავად შეაწუხებინა თავი.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა ერთხელაც იხუვლეს და „სპარტაკის“ კარიც ამოავსეს: თამაშის განახლებიდან ორ წუთში კვირკველია მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და შორეულ ძელთან მელქაძეს თავზე დაასვა ბურთი — ლევანმაც მეკარეს მოძრაობის საპირისპიროდ დაურტყა — 3:0. მალე გოგობერიშვილმა იყოჩალა და შორიდან გაუტანა ჩომახიძეს, იქვე კი კვლავ კვირკველიას დრიბლინგი და ახალაიას ლამაზი გოლი იყო — 5:0. თამაში უკვე მოსაწყენი გახდა. „დინამომ“ საქმე გააკეთა და ზედმეტ ჯაფას მოერიდა. უმაჭნის მეტოქეს „დინამოს“ კართან მიხლოვებაც უჭირდა. ასე გაგრძელდა 78-ე წუთამდე, როცა გოგობერიშვილმა ჩინებულად შეასრულა საჯარიმო და ცხრიანში გაიტანა, ამას ინანიშვილის სახიფათო დარტყმული მოჰყვა, ზოიძემ რომ კუთხურზე მოიგერია და მატჩიც ნელ-ნელა ჩათავდა.

ავთანდილ ნარიაშვილი, „სპარტაკის“ მწვრთნელი:

„სპარტაკი“ შარშან ამ დროს შეიკრიბა, 17-18 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული გუნდია. უმაღლეს ლიგაში რომ უნდა გვეთამაშა, ორისამი კვირის წინ ლაგოდეხურ შეკრებაზე გავიგეთ და როგორც შეგვეძლო, ისე მოვემზადეთ უძლიერესთა შორის სათამაშოდ. კი, მართალია, ბევრი ნაკლი გვაქვს, იქნებ ჩვენთვის ნაადრევიცაა უმაღლეს ლიგაში თამაში, მაგრამ პოტენცია გვაქვს და ნელ-ნელა მოვუმატებთ. დღეს კი „დინამომ“ არ მოგვცა თამაშის საშუალება, ძნელია ჩემპიონატის პირველსავე მატჩში ჩემპიონს დიდი წინააღმდეგობა გაუწიო. ვულოცავ „დინამოს“ ამ გამარჯვებას.

ივო შუშაკი, „დინამოს“ მწვრთნელი:

„ტირანასთან“ მარცხის კვალი ჩემს გულში დარჩა, თუმც გონება ცივი მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს აშკარა ფავორიტებად ვითვლებოდით, მაინც მეშინოდა, ბიჭები კიდევ არ იყენენ სათანადო ფსიქოლოგიურ დონეზე. თუმც კარგად ვითამაშეთ, რაც შედეგზეც აისახა. მეტოქემ ლია ფეხბურთი შემოგვთავაზა და, ვფიქრობ, სანახაობრივი თამაში გაჩაღდა. ოთარ ხიზანეიშვილისა და ტესერის გათავისუფლების ფურცლები მათი კლუბებისგან ჯერ არ მიგვიღია, გიორგი აწრაბაძის ტრავმა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე თავიდან ვფიქრობდით, რატი ალექსიძე კი ისევ მკურნალობს და ალბათ ვარჯიშს ერთ კვირაში განაახლებს. მომავალ ტურში „ტორპედოს“ ვმასპინძლობთ, ეს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი და პრინციპული მატჩი იქნება. სერიოზული თამაში, გამოცდა გველის. ვიმედოვნებ, „სპარტაკთან“ გამარჯვება ბიჭებს შოკიდან გამოიყვანს და „ტორპედოსთან“ უფრო ძლიერად ვითამაშებთ.

გოლის მარცვალი

ვიტ ჯორჯიამ მცხეთას ჯერ სული უბერა, მერე კი ღვეზელივით შეჭამა

ვაჟა ხუციშვილი

ერთვნული ჩემპიონატის ჰიმნი მოედანზე ფეხბურთელებს შეუძღვა. ფეხბურთელები მაყურებლებს მიესალმნენ, კაპიტნები კი დროშის ასაწევად გაემართნენ.

უეცრად ნაცნობი მელოდია გაისმა, მაგრამ ისე ხმადაბლა, თითქოს მტკვრის გაღმა უკრავდნენ. ეს საქართველოს ჰიმნი იყო, მავანი პოლიციელის მობილური ტელეფონის ზარმა კინაღამ რომ გადაფარა.

ტრიბუნებზე ანუ სკამების ნარჩენებზე მცხეთიდან ჩამოსული გულშემატკივრებიც ისხდნენ. ზოგიერთ მათგანს სტადიონის შესასვლელში უბილეთობის გამო პრობლემები შეექმნა. როგორც წესი, მცირე სიტყვიერი შეხლა ქართულად, „თქვენც ჩამოხვალთ მცხეთაში და იქ ვნახოთ!“ მუქარით დასრულდა.

მატჩის მსვლელობისას მცხეთელ ქომაგთაგან ერთ-ერთი მეორე გოლის გატანის შემდეგ აფეთქდა. ჩათვალა, რომ მსაჯს თამაში უნდა გაეჩერებინა, რადგან ვიტელებმა მეტოქე წესის დარღვევით დაამუხრუჭეს. ამ მომენტს მეკარესთან მარცვალაძის პირისპირ გასვლა და ანგარიშის გაზრდა მოჰყვა. „აფეთქებული“ მცხეთელისგან მიმოფანტული ლანძღვა-გინების ნამსხვრევები სრულიად იქაურობას მოეფინა. სხვა მხრივ სტუმართა გულშემატკივრები თავის გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში ამხნევებდნენ და განსაკუთრებით მეკარე ცინაძეს, რომლის შეუპოვარმა გარჯამ სტადიონზე მყოფთაგან გულგრილი ალბათ არავინ დატოვა.

დაახლოებით მეოცე წუთი იყო, მიწაში ნახევრად ჩაფლულ სათადარიგოთა სკამის ზურგს შიგნიდან ვიღაცის ძლიერი ხელი მოხვდა. „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი გახლდათ თუ ფეხბურთელი, ვერ გეტყვით. ისე გამეტებულად დასცხო თუნუქს, რომ მოედნის გარშემო შემოვლებულ ბადეზე მიყუდებული პოლიციელები დააფრთხო.

ვიტელი გაცუდებულმა მომენტმა გააბრაზა და საზურგეს სიმწრისგან დაჰკრა. ლაშა ნოზაძემ თანაგუნდელთან კედელი გაითამაშა და საჯარიმოში შეჭრილმა ათიოდ მეტრიდან ცინაძეს ვერ გაუტანა. მცხეთელი მეკარე კარიდან გამოენთო და კუთხეში მიმავალი ბურთი დაამიწა. ეს იყო პირველი რეალური მომენტი სტუმართა კართან.

მანამდე, მატჩის დასაწყისში, მასპინძლებმა თითქოს მცხეთური ხილის გასინჯვა გადაწყვიტეს და მოწინააღმდეგეს სივრცეები დაუთმეს. არეშიძეს სამჯერ შეეძლო გატანა. ჯერ თავურს ძალა და სიზუსტე ვერ დაატანა, არადა, ხელს არავინ უშლიდა; მერე ლაშა ქებაძის ოცდაათმეტრიანი რეიდი გაანიავა: კარგ პოზიციაში მყოფმა მიიღო ბურთი და კვლავ სუსტად დაარტყა. მესამედ არეშიძე და მერლანი საჯარიმოს წინა ხაზთან გაჩერებული ბურთისკენ თითქმის ერთდროულად დაიძრნენ და მცხეთელ ფორვარდს მეკარემ დაასწრო. სტუმრებს საუკეთესო შანსი ტაიმის ბოლო წუთზე ჰქონდათ. შეტევაში გართულ დამხვდურებს მელიქია დაუსხლტათ და თავდამსხმელმა კარისკენ ბურთიანად მოძუძგა. მას იმედაშვილი აედევნა, რომელიც მეტოქის ფეხებში აიბლანდა და დაეცა. მელიქიას კარიდან საკმაოდ წინ გამოსული მერლანი და გოლის გატანის რამდენიმე ვარიანტი შერჩა, მაგრამ უარესი აირჩია. არც პასი გამოუვიდა, არც დარტყმა.

მცხეთელებს ვლადიმერ გოჩაშვილმა ორჯერ გაუტანა

„ვიტ ჯორჯიამ“ მცხეთური ხილი რომ გასინჯა, ტაიმის შუაწელიდან თავად მოვიდა იერიშების იშტაზე, სტუმრებმა კი, გარდა აღწერილი ოთხი ეპიზოდისა, საინტერესო ვერაფერი შექმნეს. ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და ეს პირველ ნახევარში კარგად შეძლეს.

მასპინძლები სამი ფორვარდით უტევდნენ. მარცხნიდან ერეკლე მერებაშვილი, ცენტრიდან გოცირიძე, მარჯვნიდან კი ადამია. მათ სამი ნახევარმცველი და შეძლებისდაგვარად შეტევაში დროდადრო ჩართული მცველები ფლანგებიდან ეხმარებოდნენ. ასეთმა ტაქტიკამ შესვენებამდე რატომღაც გოლი ვერ შექმნა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში შვიდჯერ „იბარტყა“.

თბილისი. 27 ივლისი. 18.30 საათი. შევარდენი. 300 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 7:0 მცხეთა

1:0 გოცირიძე (58), 2:0 მარცვალაძე (68), 3:0 დოლიძე (73), 4:0 ლ. მერებაშვილი (78), 5:0 გოჩაშვილი (82), 6:0 გოცირიძე (86), 7:0 გოჩაშვილი (88)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კვახაძე, ლმერტ ბაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, დოლმელაშვილი (დათუნაიშვილი 75), ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე, ადამია (მარცვალაძე 46), ე. მერებაშვილი (გოჩაშვილი 62), გოცირიძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ზვ. ლაბაძე, ფეიქრიშვილი, ბერელიძე
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

მცხეთა: ცინაძე, ლამბაშიძე, გ. ქებაძე (მუშუქია 70), ძაგნიძე, ბოჭორიშვილი, ავალიანი (გ. სირაძე 54), ჩაჩუა, თირქია, ლ. ქებაძე, არეშიძე (ბ. ნოზაძე 76), მელიქია
სათადარიგონი: ოდიკაძე; ჩიტაური, კირვალიძე, მგელაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ პანოვი

გაფრთხილება: თირქია (66)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ასკარ ოღლი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა: 9-10; კუთხური: 9-2; კარისკენ დარტყმა: 7-5, კარში დარტყმა: 16-2; თამაშგარე: 2-0

ზურაბ ბერიძე სადებიუტო მატჩით თავს მოიწონებს, ვლადიმერ პანოვმა კი აბა, რა თქვას

შესვენებაზე, სათადარიგოები ხურდებოდნენ. ვიტჯორჯიელთაგან ოთარ მარცვალაძე განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა და ფლანგიდან საჯარიმოში ბურთების ჩაწოდებას ხვეწდა.

მეორე ნახევარი დაიწყო და ადამიას ნაცვლად მარცვალაძე გამოჩნდა. ეს ზუსტად ის „მარცვალი“ გამოდგა, მასპინძლებს ბოლო ფაზაში რომ აკლდათ. მარჯვენა ფლანგზე ახალშესულმა გაილაღა. მეურვე სისწრაფეში დაჩაგრა და იქიდან დაიწყო ცინაძის გამოცდა.

მარცვალაძის პასი, გოცირიძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, თითქოს გოლი გარდაუვალია, მაგრამ მცხეთელი ჯიქურ გამოენთო კარიდან და თავდამსხმელს ისე შეასკდა, რომ გოცირიძე ოდნავ შეაშინა კიდეც. ცინაძემ ზედიზედ რამდენიმე გამოსვლაზე უშეცდომოდ ითამაშა. თვალშისაცემი იყო ისიც, რომ საკმაოდ მაღლა ხტებოდა.

გაავთრებული იერიშებისგან სტუმრები აირივნენ. საჯარიმოში ეულად დარჩენილ გოცირიძეს მარცვალაძემ ბურთი თავზე დაასვა — 1:0.

აქედან დაიწყო და ნახევარ საათში კიდევ ექვსი გოლი გავიდა. გიორგი ცინაძემ თექვსმეტი დარტყმიდან შვიდი გაუშვა, შვიდი სასწაულებრივ მოიგერია. თითქმის ყველა ერთი ან ორი მეტრიდან დარტყმული, თავური, მაკრატელა (რომელიც გოჩაშვილმა შეასრულა), ისეთი ბურთები აიღო, მაყურებელს ტაში არ დაუშურებია, მაგრამ ცინაძეს ყველას მოგერიება რომ შეძლებოდა, მცხეთიდან მარტო ჩამოვიდოდა.

რაც შეეხება გოლებს, ალბათ დოლიძისაა გამოსარჩევი, რომელმაც ბურთი საკმაოდ მახვილი კუთხიდან, მოჭრილი დარტყმით ცინაძისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შეაპარა. დანარჩენების გატანისას კი ხელს თითქმის არავინ უშლიდათ.

ქუთაისი. 26 ივლისი. 18.30 საათი. ტორპედო. 2 500 (ტევადობა 19 600)

ტორპედო 2:0 ბათუმი

1:0 მუშკუდიანი (38), 2:0 ხვადაგიანი (58პ)

ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ნერგაძე 77), ახალკაცი, პოროშინი (ზ. ქუთათელაძე 65), მუშკუდიანი (კვერნაძე 65)
სათადარიგონი: რევიშვილი; დარსაძე, ლაღაძე
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, მ. სალუქვაძე (ფირცხალაიშვილი 46), კობიძე, ქაცარავა, ი. შენგელია (რომანაძე 60), მანჩხავა, დარჩიძე (ბესიკ თედორაძე 87), ფურცხვანიძე
სათადარიგონი: ი. ბალაძე; იალამიდი, დუმბაძე, კაჭარავა
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: შენგელია (36), დარჩიძე (58), ქელიძე (73)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდენიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 9-10; კუთხური: 7-2; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 11-2; თამაშგარე: 3-2

ტორპედო ბათუმთან დაიზვერა

ქუთაისში წამოუდგნენ ჰიმნს, რომელიც არ ისმოდა

კახა შალამბერიძე ქუთაისიდან

მეთხუთმეტე ეროვნულის გახსნას სიცხიან ქუთაისში 2500-მდე გულშემატკივარი დაესწრო. საქართველოს სამგზის ჩემპიონი და წინა გათამაშების ვერცხლის პრიზიორი „ტორპედო“ ლიდერის, ზურაბ იონანიძის გარეშე შეხვდა ახალ სეზონს. იონანიძის, როგორც ფეხბურთელის შეცვლას ქუთათურები ალბათ ვერ შეძლებენ, როგორც კაპიტანს კი მემკვიდრე უცებ მოუძებნეს — ვახტანგ ხვადაგიანი. სწორედ ხვადაგიანი და ბათუმელთა ბურჯი ივანე მახარაძე გაეშურნენ მოედნის კიდისკენ დროშის აღმართვის ტრადიციული ცერემონიალისა და ჩემპიონატის გახსნილად „გამოცხადებისთვის“. აღმართეს კიდეც, ოღონდ ჩვენი ენერგეტიკის გადამკიდე საქართველოს ჰიმნის როლი მაყურებელთა ტაშმა შეასრულა.

უშუქობის გამო, ცხადია, ვერც ჩემპიონატის ჰიმნი აჟღერდა, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ქვეყანა თავისით ვერ განათდება და ფეხბურთიც არ არის ის თამაში, მხოლოდ ბურთმა რომ გააკეთოს საქმე.

ერთი სიტყვით, ქუთაისი ასე უხმაუროდ შეხვდა მე-15 ეროვნულ ჩემპიონატს.

ხმაური არც სტადიონზე ყოფილა. „ტორპედომ“ მეტ-ნაკლებად იოლად მოუგო „ბათუმს“. ქუთაისელმა გულშემატკივარმაც ორჯერ გოლისას, ერთი-ორჯერ სახიფათო მომენტის გაფუჭებისას იხუვლა, ეს იყო და ეს.

ჰო, ერთხელ დიდი ტაშისცემაც იყო კახა კვეტენაძის შეცვლისას: ფუტკარივით მუშა „ბებერი კვეტე“ ბარე ორ ახალგაზრდას ჯობდა მოედანზე.

ახლა „ბათუმზეც“ ვთქვათ. ზღვისპირელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ერთადერთი, რასაც ბათუმელები უნდა უჩიოდნენ, ისაა, რომ არ ჰყავთ ფეხბურთელი, რომელიც თამაშს გაუძღვებოდა. ისე, საკმაოდ პერსპექტიული ბიჭები შემოუკრებია ვალერიან ჩხარტიშვილს. დიახ, არ გაგიკვირდეთ, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი ჩხარტიშვილია. კლუბის დირექტორატში გადანაცვლებული ასლან ბალაძე კი მატჩს ლოჟიდან ადევნებდა თვალს.

„ტორპედომ“ თითო გოლი თითო ტაიმში გაიტანა და დამსახურებულადაც მოიგო. კარგად მოერგო გუნდს გორის „დილადან“ გადაბირებული ახოვანი თავდამსხმელი ზურაბ მუშკუდიანი. სწორედ მან გახსნა ანგარიში 38-ე წუთზე, როცა ანდრი პოროშინის წამოწყებული კომბინაცია შედეგიანად დაასრულა.

მეორედ ქუთათურებმა პენალტით იხეირეს. სევასტი თოდუას საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ბათუმელ მცველს ხელზე მოხვდა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე ბურთი ახალგამომცხვარმა კაპიტანმა ვახტანგ ხვადაგიანმა გაასწორა და — 2:0. ეს ამბავი 58-ე წუთზე მოხდა.

„ტორპედოს“ გაცუდებულ მომენტებზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. ისე, „ბათუმმაც“ ერთი-ორჯერ მწვავედ უჩხვლიტა მასპინძლებს.

დასასრულ ორი ამბავიც: იმ დღეს „ტორპედოს“ მცველი მიხეილ მახვილაძე იუბილარი იყო, მატჩს კი გია გურულთან ერთად ფრანგული „ლანსის“ წარმომადგენელიც ესწრებოდა.

რია-რია მერცხლის ბუდეში

გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან

11 წლის შემდეგ ოზურგეთს ქართული დიდი ფეხბურთი დაუბრუნდა. უმაღლეს ლიგას დანატრებულ ქალაქში შაბათს ამაღლებული განწყობა სუფევდა.

„ცენტრალურიც“ შეძლებისდაგვარად გაკოხტავებული დაუხვდა ჩემპიონატს. სულ რაღაც 12 დღეში დასრულდა სხვადასხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი სამუშაო, ასე თუ ისე მოედნის საფარიც მორჯულდა, თუმც მთლად იდეალურს ნაღდად ვერ უწოდებს კაცი.

თავად „მერცხალი“ მცირე ცვლილებებით შეხვდა ახალ სეზონს. სერგო გაბელაიამ ორი ახალწვეული დაიტოვა და ორივემ — ლაშა ჭაღიაშვილმა და განსაკუთრებით დავით ხუჭუამ სადებიუტო შეხვედრა საკმაოდ კარგადაც ჩაატარეს. მათ არც სხვები ჩამორჩნენ და „მერცხალმა“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება პირველი მოგებით აღნიშნა.

სეზონის სადებიუტო მატჩის კვალობაზე ორივე გუნდმა საკმაოდ სწრაფი ბურთაობა გააჩაღა. იყო ხისტი ორთაბრძოლები და სერგო კვარაცხელიასაც ბლომად ყვითელი და ერთი წითელი ბარათის აფრიალება დასჭირდა.

გურულმა ქომაგმა სწრაფი გოლით გაიხარა. მე-10 წუთზე ჭინჭარაულმა მოედნის ცენტრიდან მარცხნივ ჭაღიაშვილს გადააწოდა, მან საჯარიმოში შერბენილი ხუჭუა შენიშნა და ზედ საპენალტოსთან ბურთი თავზე დაასვა, დათომაც წინ გამოსულ ნაჭყეპიას გაუტანა.

„თბილისის“ დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა. ვერც ჭაღიაშვილს შეუშალა ხელი და ხუჭუა ხომ საერთოდ მარტო დატოვა. ასეთი „განუკითხაობა“ შემდგომშიც არაერთხელ განმეორდა.

გოლმა თამაში უფრო გაამძაფრა. სტუმრებმა გათანაბრება მოიწადინეს, თუმც თავდადებით მოქმედ მასპინძლებს ბევრი ვერაფერი დასტყუეს. მეტიც, საკუთარ კარში მეორე გოლი მიიღეს.

მე-20 წუთზე ჯარიმა დაინიშნა თბილისელთა კარისკენ. ჯონი კალანდაძემ ბურთი ახლო ძელთან ჩაახვია. ხუჭუა მცველებს დაუსხლტა და ცრუ მოძრაობით ნაჭყეპიაც შეაცდინა — მეკარემ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, ასხლეტილს კი ჭინჭარაულმა მიუსწრო და ცარიელ კარში უპრობლემოდ გაიტანა.

ორი ბურთით დაწინაურებული „მერცხალი“ ოდნავ მოეშვა და ოთხიოდ წუთში დაისაჯა კიდეც. აფციაურმა ჩინებული შორეული პასით მეტოქის უკანა ხაზი უსაქმოდ დატოვა და დავითაშვილი მეკარეს შეატოვა. „აბრეზამაც“ ბურთი ერთი შეხებით გაისწორა და გოგუასგან შორეულ კუთხეში შეაგორა.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ ორივე გუნდი უფრო ფხიზლად აათამაშა, ამიტომაც შესვენებამდე სახიფათო ეპიზოდი არც ერთ კართან არ შექმნილა, თუმცა თამაშის ტემპი და სიმძაფრე არ შენელებულა.

„მერცხალის“ ტაქტიკა ხუჭუას სისწრაფეზე იყო გათვლილი. დათოც ბევრს მოძრაობდა უბურთოდ და ჩვეული გარჯით მცველებს საქმეს არ ულევდა. სტუმართაგან თამაშის დალაგებას აფციაური ლამობდა. მან ბლომად პასები კი არიგა, მაგრამ ინერტული თანაგუნდელები ვერ აიყოლია. სხვებზე მეტად მონდომება დავითაშვილს ეტყობოდა, თუმც მცველთა გარემოცვაში მარტო ვერას გახდა, ჯაკობიამ კი მხარი ვერ აუბა.

თემურ ლორთქიფანიძის გუნდმა მეორე ნახევარი ორმაგი შეცვლით დაიწყო და „თბილისიც“ გასაყაიმებლად დაიძრა — მოედნის ცენტრს დაეუფლა, ინიციატივა დაისაკუთრა და ხიფათიც მალე შექმნა, მაგრამ „აბრეზას“ თავურს გოგუა „საჭირო ადგილზე“ დაუხვდა.

გულხელდაკრეფილნი არც გურულები იყვნენ, მეტოქის აგრესიას თავგანწირული ბრძოლა დაუპირისპირეს. მათი დაცვის ხაზი ლამის შეუვალი ჩანდა.

დრო იწურებოდა, სტუმართა მცდელობას კი შედეგი არ მოჰქონდა. იმატა ხისტმა ბრძოლებმა. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კვარაცხელიამ „თბილისი“ კაცნაკლული დატოვა. უწყინარ სიტუაციაში ნერვებმა უმტყუნა ახალგაზრდა გოგიტა გოგუას, რომელმაც მეტოქე მაისურზე დაქაჩა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. ეს მისთვის მეორე გაფრთხილება იყო და კვარაცხელიამაც ბარათს ფერი უცვალა.

ნამატჩევს თბილისელები კვარაცხელიას მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ. ამის ერთ-ერთ მიზეზად გოგუას პირველი გაფრთხილებაც უნდა მივიჩნიოთ. იმ ეპიზოდში შეიძლებოდა, მსაჯს პენალტიც დაენიშნა მასპინძელთა კარში, მაგრამ მან გოგუა სიმულაციაში დაადანაშაულა და ცოტა ზედმეტიც მოუვიდა.

კაცნაკლულობის მიუხედავად სტუმრებმა მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს, თუმც სახეიროს ვერაფერს გამორჩნენ. პირიქით, ერთი-ორჯერ კონტრშეტევები გაეპარათ და ჯერ კალანდაძეს აუცდა ოდნავ შორეული დარტყმული, მოგვიანებით კი ბართიას შეეძლო ყველაფრის გადაწყვეტა, მაგრამ ნაჭყეპიას ვერაფერი მოუხერხა.

ამასობაში დროც მიილია და „მერცხალი“ გამარჯვებულის ზეიმს მიეცა. სერგო გაბელაიამ, შეგირდები შეაქო და, ძალიან დაძაბული ბრძოლა იყოო, დასძინა.

დავით ხუჭუას კი ოზურგეთის განვითარების ფონდის სახელით „მერცხალის“ მთავარმა პატრონმა ვანო ჩხარტიშვილმა პირველი გოლისთვის დაწესებული პრიზი უფეშქაშა.

ოზურგეთი. 26 ივლისი. 18.30 საათი. მაყურებელი. 4 000 (ტევადობა 8 000)

მერცხალი 2:1 თბილისი

1ბ ხუჭუა (10), 2:0 ჭინჭარაული (20), 2:1 დავითაშვილი (24)

მერცხალი: გია გოგუა, ალბერტ (ალექსიძე 86), კალანდაძე, ჩადაბაძე, გ. ალექსიძე, ჭინჭარაული, გ. ნიჟნიკაძე, ჭაღიაშვილი, ბარათია, კალანდაძე, ხუჭუა
სათადარიგონი: ა. რობაქიძე, მანჯგალაძე, ხვიტალიანელი, კალანდარიშვილი, ი. რობაქიძე
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

თბილისი: ნაჭყეპია, ხიდირაშვილი (ბუბარაშვილი 46), ბარბაია, სიდამონიძე, ზესხა, გ. ნუნუ ჭილაია (ბაკურაძე 87), ოდიკაძე (ელიავა 46), აფციაური, გოგიტა გოგუა, დავითაშვილი, ჯაკობია
სათადარიგონი: ი. ფალავანდიშვილი, ბ. ნოდ ჭილაია, ლიფანოვი
მწვრთნელი: თემურ ლორთქიფანიძე

მაფრთხილებელი: კალანდაძე (7), ზესხა (21), დავითაშვილი (30), ბარათია (36), ჯაკობია (47), გოგიტა გოგუა (62), ელიავა (68), გია გოგუა (70), გოგიტა გოგუა (75)

გაძევება: გოგიტა გოგუა (75)

მაყურებლის ნომერი: ა. კალანდარიშვილი (ბუბარაშვილის), ბ. ჯაჯანიძე (ორივე თბილისელი), ა. ფოფხაძე (ტყიბული)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი. **მერიდმრეკი:** ს. ალტუნაძე

ჯარიმა: 34-32, **კუთხური:** 6-5, **კარისკენ დარტყმა:** 3-2, **კარში დარტყმა:** 3-3, **თამაშგარე:** 3-4

განაჩენი ხვალ გამოცხადდება



დიმიტრი რამიშვილი



სერგო კვარაცხელია

ბაღრი კვირაია ფოტოები

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულმა ოზურგეთის „მერცხალმა“ პირველსავე ტურში „თბილისი“ 2:1 დაამარცხა და...

ქალაქი რომ გამთენიამდე ზეიმქეიფობდა, ამ დროს „მერცხალის“ სტუმარი „თბილისი“ პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში ჩიოდა, არბიტრმა არასწორად იმსაჯა და ამან წაგვაგებინაო — დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო „თბილისის“ პროტესტი, რომელიც კლუბმა პროფლიგაში აფრინა.

— „თბილისის“ პროტესტი უკვე განხილულია, სადავო ეპიზოდების განხილვას მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და სხვა ავტორიტეტული არბიტრები ესწრებოდნენ. გეტყვით, რომ პირველი ტურის ოზურგეთულ მატჩს მსაჯთა სერიოზული დარღვევები ახლდა. დისციპლინარულ სანქციებზე ახლა ვერაფერს გეტყვით, ჩვენს გადაწყვეტილებას 30 ივლისს გამოვაცხადებთ — პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა „მერცხალი“ — „თბილისის“ განკითხვის დღედ ოთხშაბათი დათქვა. ვნახოთ, ჯერჯერობით კი ანგარიში ძველია — 2:1 „მერცხალის“ სასარგებლოდ.

ძოგბა ინასარიძე

წითელ-ყვითელ ბადეებს თამაში სჯობს ფერადი

ფოთი. 26 ივლისი. 18.30 საათი. მაყურებელი. 800 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 0:0 დილა

კოლხეთი: ბათიაშვილი, გოროზია, ქუტიძე, ლონღაძე, მინდაძე, აკობია, ქობულაძე (დ. ნარსია 49), თაყაძე (ბალანია 59), ტყეშელაძე 85), გოდერძიშვილი, კრასოვსკი
სათადარიგონი: ჩემია, ტყებუჩავა, ნ. ნარსია
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

დილა: სოფლაშვილი, ბალაშვილი, ხუციშვილი, ლ. გოლბაშვილი, ლომაძე (რაზმაძე 90), ლაფაძე, ბ. ჩიტაია, ხელთანიშვილი, ჯობაძე (საფარელიძე 85), ა. კალდარაშვილი, ძოძუაშვილი (ოდესაშვილი 90)
სათადარიგონი: თ. ილურიძე, ხანიშვილი, მარღიშვილი, ბასურაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ სორგუაშვილი

გაფრთხილება: ბალაშვილი (26), ლომაძე (42), ჩიტაია (48), გოროზია (52), მინდაძე (58), კალდარაშვილი (82)

მაჯვრი: ლ. ფანიაშვილი; კ. თბილელი, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); დ. ხანია (ხობი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაძავა; **მერიდმრეკი:** გ. სორდია

ჯარიმა: 17-23, **კუთხური:** 2-2, **კარისკენ დარტყმა:** 7-2, **კარში დარტყმა:** 3-2, **თამაშგარე:** 2-6

გიორგი ვაშაკიძე ფოთიდან

გუნდების კაპიტნებმა, ფოთელმა კახა გოროზიამ და გორელმა გიორგი ლომიძემ ეროვნული დროშა ეროვნული ჰიმნის თანხლებით აღმართეს და ფოთში მეთხუთმეტე ჩემპიონატი „საზეიმოდ“ გაიხსნა. განწყობა ნამდვილად არ ყოფილა ხალისიანი. ფოთელ გულშემატკივარს თამაშისადმი დიდი ინტერესი არ გამოუჩენია. სადღაც რვაასამდე ქომაგმა „შემოიარა“ სტადიონზე. არადა, იყო დრო, ფოთში ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩს სულ ცოტა, 3 000 გულშემატკივარიც სტუმრობდა.

მოკლედ, ვინც სტადიონზე არ ყოფილა, ბევრიც არაფერი დაუკარგავს. ვერც სახეშეცვლილმა „კოლხეთმა“ ითამაშა საკადრისი ფეხბურთი და ვერც გაძლიერებულმა „დილამ“. მათ ვერ ასიამოვნეს მაყურებელი. კი, იყო ბრძოლა, ფეხბურთელები არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს, მაგრამ უამრავი ელემენტარული შეცდომა გეცემოდათ თვალში — არასწორი პასი, ბურთის ვერ გაჩერება...

პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა ისეთი, ჩასანიშნი რომ ყოფილიყო. ვერც იმას ვიტყვი, მეორეში კალამი არ გამიგდია ხელიდან-მეთქი. სულ ოთხად ოთხი მომენტისმაგვარი და ეგ იყო და ეგ.

51-ე წუთზე ალეკო კაიდარაშვილი რჩებოდა პირისპირ ფოთელთა ახალ მეკარე ზურაბ ბათიაშვილთან. ხიფათი კაპიტანმა გოროზიამ განმუხტა, მოიერიშეს წამოეწია და ბურთი აართვა.

ორი წუთის მერე ისევ სტუმრებმა იძალეს. გორელებმა ასე თუ ისე ნორმალური კომბინაცია გაითამაშეს. მერე ძოძუაშვილმა ბურთი ჯობაძეს დაუგორა დასარტყმელად. ამანაც 22 მეტრიდან მიწაზე დაუშვებლად ძლიერად გაისროლა. ბათიაშვილმა ნახტომში ხელებში გააქვავა ბურთი.

მერე მასპინძელთა ჯერი დადგა. მე-60 წუთზე გოდერძიშვილს ახლოდან შეეძლო გატანა. კარისკენ უხერხულად მდგარმა სუსტად დაარტყა და ბურთიც სოღოლაშვილის იოლი ნადავლი შეიქნა.

74-ეზე კი კრასოვსკიმ მოულოდნელად დაარტყა შორიდან, „დილა“ ხარიხამ იხსნა.

–და კვლავ გაგრძელდა უილაჯო, მონოტონური თამაში. ბოლო წუთებში კოლხები ისე უსუსურად გამოიყურებოდნენ, ტრიბუნებს შეფენილი ქომაგი თავის გუნდზეც ქილიკობდა.

ერთი სიტყვით, სიურპრიზი, რომელიც „ფაზისზე“ შეკრებილებმა იხილეს, ხელუხლებელი დარჩა — წითელ ბადეებს მხოლოდ სუსტი ნიავი თუ არხევდა.

პრესკონფერენციაზე „კოლხეთის“ მწვრთნელმა *გია ტყებუჩავამ* აღნიშნა, ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერ მოვიგეთო და შეგირდებს მადლობაც გადაუხადა. მარტო ბრძოლით თამაშს რას მოიგებ და ტყებუჩავამ ის წამყვანი ფეხბურთელები ახსენა, რომელთაც მიზეზთა გამო გამოტოვეს შეხვედრა — ზაველ ღაღანიძის სატრანსფერო ფურცელი ჯერ არ ჩამოსულა რუსეთიდან, ჯონი შალამბერიძის სამონაწილეო ბარათი ფეხბურთის ფედერაციაში დარჩენია სფფ-ის ინსპექტორს, რამაზ სვანაძე კვლავაც უკრაინაშია და დღედღეზე ელიან, ვალერი გაგუა კი ტრავმირებული ყოფილა. ეს ოთხეული რომ მყოლოდა, ეგებ უკეთაც გვეთამაშაო, დასძინა ტყებუჩავამ.

სტუმართა თავკაცმა *ზურაბ სორგუაშვილმა* კი თქვა: „დაძაბული თამაში იყო. კარგი მეტოქე გვყავდა, სათანადოდ მომზადებული. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია. ფოთიდან ქულის წაღება იოლი ნამდვილად არაა. ჩვენც კარგი გუნდი გვყავს, საკმარისად გავძლიერდით, თუმც პირველი მატჩი იყო და ამან გარკვეულწილად დაღი დაასვა ჩვენს თამაშს. ვერ ვაჩვენეთ ის ფეხბურთი, რაც ვიცით და შეგვიძლია“.

–კოლხებს მეორე საშინაო მატჩი ჩემპიონ „დინამოსთან“ ელით. ერთმა გულშემატკივარმა მეორეს გადაულაპარაკა, „დილას“ ვერ მოვუგეთ და „დინამოსთან“ რა გვეშველებაო. მეორემ ირონიულად უპასუხა, რა გვეშველება? არც არაფერი. მაგათ „ტრანასთან“ წაგეს ნულით სამი და რა იცი, ეგებ ჩვენთანაც წააგონ.

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას, ფოთის „TV ფაზისის“ თანამშრომელს გია ეჯიბიას მამის გარდაცვალების გამო

შუშაკმა, ფული არ მინდაო ის ოღონდ: რას იტყვის ის...



ავტორი ალექსანდრ ბოლოტნიკოვი

ფრიად საინტერესო რამ თქვა შუშას, „დინამო“ — „სპარტაკის“ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჩემპიონთა მწვრთნელმა ივო შუშაკმა. მას საქართველოს ნაკრებზე ჰკითხეს — რა ეტაპზეა თქვენსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის მოლაპარაკება? შუშაკის პასუხი ასეთი იყო:

— თუ ფეხბურთის ფედერაცია ჩათვლის საჭიროდ, რომ საქართველოს ნაკრები ჩამაბაროს, საწინააღმდეგო არაფერი მექნება, თუმც ჩემს თანხმობას „დინამოს“ ხელმძღვანელთა ნებართვაც სჭირდება. ეს ყველაფერი აქამდეც მითქვამს, ახლა კი მსურს, ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც იცოდეთ: ივო შუშაკი ნაკრებში მუშაობისთვის ფედერაციას არანაირ პირობას არ წაუყენებს. მზად ვარ, საქართველოს ეროვნულ გუნდში ყოველგვარი ანაზღაურების, ერთი თეთრის გარეშე ვიმუშაო.

ივო შუშაკმა ფედერაციას სიტყვა უთხრა. ახლა პასუხი ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებზეა. როგორც პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ამას წინათ გვითხრა, ის შუშაკს უკვე შეხვდა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. მწვრთნელმა ფედერაციის პრეზიდენტი „დინამოს“ პატრონ ბადრი პატარკაციშვილთან გაუშვა — როგორც ის იტყვისო. შუშაკი თანახმაა, ეროვნული გუნდი ჩაიბაროს, ესაა ფედერაციის სურვილიც, პატარკაციშვილი?.. ჯერჯერობით ჟორდანია და პატარკაციშვილი ერთმანეთს არ შეხვედრიან.

კოტა ინასარიძე

მიხეილ აშვეთიას (მარჯვნივ) გოლმა მთელი რუსეთი აალაპარაკა

აშვეთია მშვენივრად მიშაობს რას შვრები, ყაზახო?!

მიხეილ აშვეთიამ კვლავ იყოჩაღა. ზედიზედ მესამე ტურია, მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადაბარგებული ქართველი თავდამსხმელი გამოსარჩევია. რკინიგზელებმა „როტორს“ 3:0 მოუგეს და პირველი გოლი 47-ე წუთზე აშვეთიამ გაიტანა. როგორც ჩანს, აშვეთიამ და დმიტრი ლოსკოვმა კარგად გაუგეს ერთმანეთს. ბოლო სამი თამაშია, „ლოკომოტივს“ გოლები ლოსკოვ-აშვეთიას კომბინაციებით გააქვს, თუმც „როტორთან“ გატანილ გოლში მოსკოველთა კაპიტნის წილი უფრო მოკრძალებულად შეგვიძლია შევაფასოთ. ლოსკოვის პასი ჩვენებურმა მკერდით გაისწორა და მარცხენა ფეხით უძლიერესად გაისროლა — ამ გოლმა ტურის საუკეთესოობა ალალად დაიმსახურა, მიხეილ აშვეთია კი ამ სეზონში პირველად მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში.

„ლოკომოტივის“ მეორე ქართველი მალხაზ ასათიანი 75-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და ერთხელ მაქსიმ ბუზნიკინი მეკარესთან პირისპირაც გაიყვანა, მაგრამ ამან ვერ ივარგა.

ხანგრძლივი წარუმატებელი სერიის შემდეგ ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ“ ქულა შეიმატა. ზურაბ მენთეშაშვილი მოსკოვის „ტორპედოსთან“ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და 66-ე წუთზე შეცვალეს.

ყაზანის „რუბინი“ ისევ აოცებს რუსულ პრემიერლიგას. რუბინელებმა ამჯერად „როსტოვი“ იმსხვერპლეს სტუმრად. მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული იყო დავით ჩალაძე, რომელმაც სრულად ითამაშა. ლევან სილაგაძე კი 71-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

აშვეთიას დარად, სამ მატჩში 2 გოლი მოუგროვდა „უკრაინელ“ გიორგი დემეტრაძესაც. დონეცკის „მეტალურგმა“ შარშანდელთან შედარებით სუსტად დაიწყო სეზონი და სამი ტურის შემდეგ ოდენ მეშვიდე ადგილზეა. დემეტრაძემ ოდესის „ჩერნომორეცთან“ მატჩში გადაურჩინა გუნდს ქულა. გოჩა ჯამარაული კი ბოლო წუთზე შეცვალეს.

ტრავმირებული დავით მუჯირი ისევ გამოჩნდა მოედანზე. „მატერსბურგმა“ 3:1 მოუგო „შტურმს“. ჩვენებური კი 67-ე წუთზე შეიყვანა ჟილბერ გრესმა. როგორც ჩანს, „შტურმს“ გვარიანი პრობლემები აქვს შეტევაში და მწვრთნელიც იძულებულია, ჯერაც გამოუჯანმრთელებელი და უვარჯიშებელი ქართველი ათამაშოს.

ყაზახეთში ისევ აგებს „ბატისი“. ამბიძე-გამცემლიძე-გოგოლაძის გუნდს რა ხანია, ქულაც ვერ აუღია. ამჯერად „ბატისი“ „ტობოლთან“ დამარცხდა. კახა გოგოლაძემ სრულად ითამაშა, პაატა გამცემლიძე შეცვლაზე გამოჩნდა, ბახვა ამბიძე კი განაცხადშიც არ ყოფილა. „ბატისი“, ცხადია, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და ალბათ, ქვედა ლიგაშიც ჩაინაცვლებს.

კახა შალამბერიძე

არველაძისა მოლსმა შეაგდო რუნის გული და მუხლი აიბროქსმა გახეთქა



შოთა არველაძე

„აიბროქსზე“ 28 000 კაცი შეიყარა, რათა „რეინჯერს“ — „ევერტონის“ ამხანაგური მატჩი ეხილა. თუმც რა ამხანაგობაზეა ლაპარაკი, როცა ევერტონელთა მზე და მთვარე, 17 წლის უეინ რუნი დაამტვრიეს — ყმაწვილი რეინჯერსელ ბობ მალკოლმს შეეჯახა 36-ე წუთზე და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს — რუნის მუხლის მყესები სამკურნალოდ გაუხდა და „ევერტონის“ ფანობა ამ ამბავს ძალიან განიცდის.

პირველი გოლი კი „რეინჯერსმა“ გაიტანა — ნეილ მაკანის ჩაწოდებულზე სტივენ ტომპსონი აიწოწა და თავით შეაგდო. „ევერტონმა“ დევიდ უნსვორზის 11-მეტრიანით გაათანაბრა 65-ე წუთზე, ხოლო ჩინელმა ლი ტაიმ მალე ინგლისელები წინ გაიყვანა. გამათანაბრებელი შოთა არველაძეს უნდა შეეგდო, მაგრამ მის დარტყმულს გადაეფარნენ და კარისკენ მიმავალი ბურთი ბადეში მიხაელ მოლსმა შეაგორა.

გამარჯვებისა „ევერტონმა“ ბოლო წუთზე გაიტანა — ყოფილმა სელტიკელმა მცველმა ალან სტაბსმა ჯარიმა დაარტყა და რიკოშეტის შემდეგ ბურთი შტეფან კლოსის კარში აღმოჩნდა.

ზურაბ ხიზანიშვილს მიკროტრავმის გამო არ უთამაშია, ხოლო არველაძე შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში. მომდევნო ამხანაგურ მატჩს „რეინჯერსი“ ხვალ გამართავს ლონდონის „არსენალთან“.

დავით თავართქილაძე

ვის გინდათ აბრამიძე?

სპარტაკის ქართველი მცველი ტრანსფერზე

ქართველ ფეხბურთელებს მოსკოვის „სპარტაკის“ ძირითადში ფეხის მოკიდება რატომღაც უჭირთ. ასე დაემართა ოთარ ხიზანეიშვილს, მერე დავით ქოქიაშვილს. ახლა კი მცველ ვალერი აბრამიძის ჯერი დამდგარა. გუშინ „სახალხო გუნდმა“ ქართველი უკანახაზელი ოფიციალურად ტრანსფერზე დააყენა. კლუბის პრეს-რელიზში ისიც წერია, „სპარტაკი“ ახალ და გამოცდილ მცველს საჭიროებს და სავარაუდოდ იგი არგენტინელი იქნებაო.

მოკლედ, აბრამიძე მოსკოვური გუნდის ფეხბურთელად უკვე აღარ ითვლება. მას შემდეგ, რაც „სპარტაკის“ მწვრთნელად რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი ანდრეი ჩერნიშოვი დაინიშნა, ჩვენებურმა მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ისიც შეცვლაზე. არადა, ჩერნიშოვის წინამორბედ, ოლეგ რომანცევის მწვრთნელობისას აბრამიძე „სპარტაკის“ ოთხკაციანი დაცვის ბურჯი გახლდათ.

გიორგი ვაზაკიძე

სახელი გვარი	გუნდი		სად მეტოქე	ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
ავსტრია. მაძღბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	მატერსბურგი 1:3	23	შეცვლაზე ითამაშა	2	0	8
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	როტორი 3:0	15	შეცვლაზე ითამაშა	9	1	8
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	შ	როტორი 3:0	90	1 გოლი	3	2	8
ვალერი აბრამიძე	სპარტაკი	ს	სატურნი 2:3	0	ტრანსფერზეა	8	0	11
ზურაბ მენთეშაშვილი	სპარტაკ-ალანია	შ	ტორპედო 0:0	66	გააფრთხილეს, შეცვალეს	11	0	15
დავით ჩალაძე	რუბინი	ს	როსტოვი 1:0	90		10	0	7
ლევან სილაგაძე	რუბინი	ს	როსტოვი 1:0	19	შეცვლაზე ითამაშა	7	0	7
გიზო ჯელაძე	რუბინი	ს	როსტოვი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
კლიმენტი წიტაიშვილი	ჩერნომორეცი	შ	დინამო 0:1	0	განაცხადში არ იყო	0	0	13
დავით ნაკანი	ტორპედო	ს	სპარტაკ-ალანია 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	9
ალექსანდრე რეხვიაშვილი	ტ. მეტალურგი	შ	ზენიტი 0:1	90		15	1	16
დავით ხმელიძე	როსტოვი	შ	რუბინი 0:1	0	სათადარიგო	0	0	10
ვასილ გიგიაძე	ურალანი	ს	ცსკა 0:2	90		3	0	14
ანზორ კალაძე	ურალანი	ს	ცსკა 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	ჩერნომორეცი 1:1	89	შეცვალეს	3	0	7
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	ჩერნომორეცი 1:1	90	1 გოლი	3	2	7
ლევან მიქაძე	კრივბასი	შ	დინამო 0:1	90		3	0	10
შოთა ჩომახიძე	ტავრია	შ	შახტარი 0:2	0	სათადარიგო	0	0	13
ზურაბ იონანიძე	ტავრია	შ	შახტარი 0:2	90		3	1	13
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟეე	შ	ზირკა 3:1	0		0	0	6
შალვა აფხაზავა	არსენალი	შ	ილიჩევეცი 0:2	0		2	0	12
ფინეთი. ვეიკაუსლიგა								
გიორგი ნიკურაძე	კტპ		ტური გამოტოვა			0	0	13
ყაზახეთი. სუპერლიგა								
ბახვა ამბიძე	ბატისი	შ	ტობოლი 0:2	0	განაცხადში არ იყო	6	0	17
პაატა გამცემლიძე	ბატისი	შ	ტობოლი 0:2	33	შეცვლაზე ითამაშა	11	0	17
კახა გოგოლაძე	ბატისი	შ	ტობოლი 0:2	90		11	1	17

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ინტერტოტოს თასი

III ეტაპი. საპასუხო მატჩები

შალკე (გერმანია) 2:1 დაჩია (მოლდოვა) (1:0)

1:0 სანდი (78), 2:0 ბანკე (88), 2:1 ორბუ (90)

შალკე: როსტი, ალკიდესი, ბაიტო, მატელანი, კობიაშვილი, ალტინტოპი, პოულსენი, ასამოა (პინტუ 83), ციომერი (ბანკე 69), ვარელა (ზაიცი 69), სანდი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

56 256 მაყურებელი

ბრეშა (იტალია) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი) (0:2)

0:1 გიარე (59), 1:1 პეტრუცი (88)

ბრნო (ჩეხეთი) 4:2დ.დ.(2:1) გენგამი (საფრანგეთი) (1:2)

1:0 აბრაამი (14), 1:1 ლასპალი (75), 2:1 სკობოდა (86), 3:1 დოშეკი (107), 4:1 მეზლიკი (111), 4:2 კაბანასი (116)

ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:1 რასინგი (ესპანეთი) (1:0)

1:0 კოლუშეკი (35), 1:1 ჩიკი (60), 2:1 ზაპოტოცნი (83)

პაშინგი (ავსტრია) 3:0 ტობოლი (ყაზახეთი) (1:0)

1:0 დატორუ (2), 2:0 გლიდერი (62), 3:0 მაირლები (86)

გაძევება: ლოტოვი (68, ტობოლი)

ლიერსი (ბელგია) 0:1 ჰერენვენი (ჰოლანდია) (1:4)

0:1 დენებოომი (90)

ციბალია (ხორვატია) 0:1 ტამპერე (ფინეთი) (2:0)

0:1 რასანენი (66)

ვოლფსბურგი (გერმანია) 2:0 სინოტი (ჩეხეთი) (1:0)

1:0 კლიმოვიჩი (23), 2:0 მ. პეტროვი (77)

ვილი (შვეიცარია) 2:3 ნანტი (საფრანგეთი) (1:2)

1:0 რომანო (103), 1:1 იეპესი (12), 2:1 მორდეკუ (23), 2:2 ვაირუა (43), 2:3 გ. პუიოლი (64)

კოპერი (სლოვენია) 2:2 ეგალეო (საბერძნეთი) (3:2)

1:0 იაკომინი (10), 1:1 ხლოროსი (11), 2:1 ბოზიჩიჩი (79), 2:2 ხრისტუ (90)

ალიანსი (ფინეთი) 0:2 პერუჯა (იტალია) (0:2)

0:1 გატი (21), 0:2 ზე მარია (69)

ვერდერი (გერმანია) 1:0 ნიცა (საფრანგეთი) (0:0)

1:0 მიკუ (77)

ნახევარფინალის წილისყრა

ნანტი (საფრანგეთი) — პერუჯა (იტალია)

პაშინგი (ავსტრია) — ვერდერი (გერმანია)

ბრნო (ჩეხეთი) — ვილიარეალი (ესპანეთი)

შალკე (გერმანია) — ლიბერეცი (ჩეხეთი)

ჰერენვენი (ჰოლანდია) — კოპერი (სლოვენია)

ციბალია (ხორვატია) — ვოლფსბურგი (გერმანია)

I მატჩები — 30 ივლისი, საპასუხოები — 6 აგვისტო

კადაფი სკამზე არ დასვეს

ახალი სეზონის პირველ ოფიციალურ საშინაო მატჩში წარმატებული დებიუტი მოიწყო იუპ ჰაინკესმა. მისმა „შალკემ" საინტერტოტოო საპასუხო მატჩშიც დაამარცხა მოლდოვური „დაჩია". ჰაინკესმა შეუცვლელად ათამაშა ლევან კობიაშვილი. ქართველი მთელი მატჩის განმავლობაში მონდომებით გაისარჯა, თუმც მიუხედავად დიდი უპირატესობისა, მისი გუნდი მაინც გვარიანად გაწვალდა მოკრძალებულ მეტოქესთან ჭიდილში.

ამ მატჩმა ცხადყო, რომ ჰაინკესისეულ „შალკეს" ჯერ კიდევ აკლია შეთამაშება. არადა, ბუნდესსეზონი კარსაა მომდგარი. მასპინძლები დანიელმა ებე სანდმა დააწინაურა ნაგვიანევი გოლით. ამან მანამდე თავგამოდებით მებრძოლი მოლდოველები მოაშთო და მალე ჰანკემ მეორედაც გაახარა მრავალათასიანი აუდიტორია, თუმც ზედ საფინალო სასტვენის წინ გამოცდილმა ორბუმ ჩაფლავა გერმანელთა დაცვა — 2:1 და „დაჩია" ღირსეულად დაემშვიდობა ევროტურნირს.

ინტერტოტოს თასის ნახევარფინალში კიდევ ორი გერმანული გუნდი გავიდა. გერმანულ ფეხბურთთან საოცრად მოკლე დროში შეგუებულმა არგენტინელმა დალესანდრომ ვოლფსბურგულ მწვანეზე იფრინა, მისი მცდელობით „მგლებმა" საპასუხო მატჩშიც დაამარცხეს ჩეხური „სინოტი". დალესანდრომ კლიმოვიჩს და პეტროვს გაატანინა და თავადაც არაერთი

საიმონ ციომერი (მარჯვნივ) და „შალკე" ნახევარფინალში იოლად გავიდნენ

საგოლე მომენტი შექმნა.

მიუხედავად მოკრძალებული ანგარიშით გამარჯვებისა, „ვერდერმა" გვარიანად ანჯღრია ფრანგული „ნიცა". მასპინძელთა რიგებში მოთამაშე ბრაზილიელ აილტონს ბევრი საგოლე შანსი ჰქონდა და ერთობ რეალური მომენტები ფლანგა, სანაცვლოდ მიკუმ არ დაიზარა თანამემამულეთა გამწარება — გერმანულ ბანაკში გადასულმა ფრანგმა ნახევარმცველმა 77-ე წუთზე ეფექტური გოლით „ვერდერის" გამარჯვებისა გაიტანა.

ნახევარფინალში მოულოდნელი იყო „სლოვანის" გასვლა, თუმც ამ გუნდმა მეორე მატჩშიც სძლია ესპანურ „რასინგს" და ახლა „ჩვენებურ" „შალკესთან" ცდის ბედს.

„ვიტ ვორვიას" მომლოდინემ „პაშინგმა" ყაზახურ „ტობოლს" გადაურბინა და უფრო შთამბეჭდავადაც მოუგება, სტუმართა კარში ვალერი შანტალოსოვი რომ არ მდგარიყო.

დრამატული და თვალსაჩინო გამოდგა „ბრნო" — „გენგამის" ჩეხური მატჩი. გამრჯე მასპინძლებმა ფრანგებს ძირითად დროში პირველი მატჩისეული ანგარიში გაუბათილეს, დამატებითში კი უპრობლემოდ დალურსმეს ფავორიტი მეტოქე.

ნახევარფინალშია იტალიური „პერუჯაც". მოამარ კადაფის სამწუხაროდ, მისი ვაჟი „ალიანსასთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზეც არ გამოჩენილა.

პაატა კვანტალიანი

რუსეთი

პრემიერლიგა. XVIII ტური

ლოკომოტივი 3:0 როტორი

1:0 აშვეთია (48), 2:0 იგნაშევიჩი (60პ), 3:0 ლეკხეტო (74)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ლეკხეტო, სირხავეი (ასათიანი 74), ლოსკოვი (ბუჩიჩევიჩი 78), ხოხლოვი, იზმაილოვი, აშვეთია, ბუზნიკინი (პიმენოვი 65)

სპარტაკ-ალანია 0:0 ტორპედო

კრილია სოვეტოვი 1:0 შინიკი

1:0 ლეილტონი (27)

სატურნი 3:2 სპარტაკი

1:0 პავლოვიჩი (7), 1:1 ვაშჩუკი (32), 2:1 პავლოვიჩი (59), 2:2 სტანიჩი (66), 3:2 მურატოვიჩი (79)

ჩერნომორეცი 0:1 დინამო

0:1 ალბერტო (53)

როსტოვი 0:1 რუბინი

0:1 ბოიარინცევი (77)

რუბინი: კოზკო, სინიოვი, სკოტი, ნოვოტნი, შარანოვი (სილაგაძე 70), კალისტო, სიბაია, კონოვალოვი (ნეჩაევი 79), ბოიარინცევი, ჩალაძე, რონი (სილა 69)

ტ. მეტალურგი 0:1 ზენიტი

0:1 ვლასოვი (87)

ტორპედო-მეტალურგი: ლავრენტიევი, რეხვიაშვილი, ჯიაუშტასი, რიზვიჩი, კოლესნიჩენკო (შევჩენკო 61), ბრაკამონტე (მოსესიანი 64), ოვსეპიანი, ბელეცკი (ლეონოვი 80), პინტო, მონარიოვი, ცელიშაკი

ცსკა 2:0 ურალანი

1:0 ლაიზანსი (54), 2:0 კირიჩენკო (74)

ურალანი: ფილიმონოვი, დალ კანტო, ვრანიეში (ლოპესი 77), გურაშჩენკო, სემოჩკო (მარტინესი 62), კოლოდინი, ცალაგოვი (კუზმინი 82), აჯინჯალი, ბოჩკოვი, ვ. გიგიბაძე, პასონი

მოსკოვის ჩელსის უახლოესი გეგმები

ავტოქარხნის ახალი მუშები: ჰენრიკ ლარსონი და მარიო ჟარდელი

სპარტაელი მოიზესი (მარცხნივ) ნახევარ საათში ორჯერ გააფრთხილეს

მოსკოვი ახალმა ამბავმა წალეკა. რუსულ საინფორმაციო წყაროების ცნობით, მოსკოვის „ტორპედოს" შეძენას ალექსანდრ მამუტი აპირებს, რომელსაც რომან აბრამოვიჩზე ოდნავ ნაკლები ფული აქვს. ჯერ-ჯერობით ისევე უნდა გაჭედოს, როგორც აბრამოვიჩმა „ჩელსიო".

ტორპედოელთა გულშემატკივრებს სიხარულისგან თურმე აღარც სძინავთ. ყური მოუკრავთ, რომ თურმე ალექსანდრ მამუტი მათთვის მარიო ჟარდელს, ჰენრიკ ლარსონს და მარტინ ლაურსენს შეიძენს, მწვრთნელად კი ლუის ფერნანდესს დაუნიშნავს. მოსკოვური კლუბის წარმომადგენელმა ვლადიმირ ალიოშინმა დაადასტურა, რომ მოლაპარაკებები „ტორპედოს" გაყიდვის თაობაზე ნამდვილად მიმდინარეობს.

გასავარდნად თითქმის განწირულმა „ტორპედო-მეტალურგმა" კი ძირითად შემადგენლობაში თერთმეტივე ლეგიონერი ათამაშა და თანაქალაქელ ნახევარმოსახელეს „ჩელსობაში" დაასწრო. ვალენტინ ივანოვმა მოედანზე სამი უკრაინელი, ორი არგენტინელი, ლიტველი, სომეხი, ქართველი, ლატვიელი, ბოსნიელი და ხორვატი გაიყვანა. მეტალურგებს ინტერნაციონალმაც ვერ უშველა, სეზონში მეთერთმეტე მატჩი წააგეს და ცხრილის ძირს მიეწებნენ.

შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია ყაზანის „რუბინმა" გამოაცხო. ყაზანელებმა როსტოვში დონისპირელებს სძლიეს. როსტოველებმა ჩემპიონატი რიხით დაიწყეს და პირველ წრეში მეტწილად ცხრილის თავში ტრიალებდნენ. მეორე წრიდან კი აშკარად უკლეს და ახლა შინ დამარცხების შემდეგ მეთორმეტე ადგილზე დაეშვნენ. ერთადერთი, გამარჯვების გოლი სტუმარმა ბოიარინცევმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ბურთი კედელს გადააკლო და ხარიხის ქვეშ შეაცურა.

იაროსლავლის „შინიკის" ცხრამატჩიანი წაუგებლობის ზეიმი სამარაში დასრულდა. „კრილია სოვეტოვმა" ბრაზილიელი ლეგიონერის გოლით სამი ქულა მიითვალა და მეექვსე ადგილს უწია.

მოსკოვის გარეუბანში დიდი ბრძოლა გაიმართა. რამენსკოეს „სატურნმა" კაცნაკლული „სპარტაკი" შეხვედრის ბოლოს გატეხა. ერთ სეზონში „სპარტაკი" ორჯერ მხოლოდ ორ გუნდს, ცსკა-სა და „ლოკომოტივს" დაემარცხებინათ და ეს ახლა რამენსკოელებმაც შეძლეს.

„სახალხო გუნდს" ორივე ფეხბურთელი უხეშობისთვის გაუძევეს. პირველი ტაიმის მიწურულს 1:1-ზე მოიზესმა მეორე ყვითელი ბარათი აიკრა და მსაჯმა მოედნიდან მიაბრძანა. „სპარტაკის" უკრაინელი ლეგიონერი ვლადისლავ ვაშჩუკი კი გუნდს მატჩის მიწურულს გამოაკლდა.

სამიდან ორი გოლი დედაქალაქელთა კარში სწორედ უკრაინელის შეცდომების გამო გავიდა. „სატურნის" გამარჯვების გოლი ბოსნიელმა საბირ მურატოვიჩმა ჰაერში წამოწოლილმა შეაგდო.

ნამატჩევს „სპარტაკის" ერთ-ერთ მწვრთნელი, ყოფილი ფეხბურთელი სერგეი იურანი მსაჯთან პრეტენზიებით მივიდა, საიდანაც რუსმა პოლიციელმა გამოათრია.

ვლადისლავ ვაშჩუკიც მსაჯობით უკმაყოფილო იყო: „ისინი თამაშს თითქოს თვითმფრინავიდან უყურებდნენ და ვერაფერს ვერ ამჩნევდნენ ან ძალიან ცუდად ხედავდნენ. უკეთესია, სპორტის სხვა სახეობას თუ გაჰყვებიან და ჭადრაკს ან შაშს ითამაშებენ".

ჩემპიონ „ლოკომოტივს" ვოლგოგრადის „როტორის" ძლევა არ გასჭირვებია. მასპინძლები აშვეთიას ბრწყინვალედ შესრულებული დარტყმით დაწინაურდნენ. ქართველის გოლს იგნაშევიჩის ზუსტი პენალტი და ლეკხეტოს შედეგიანი საჯარიმო მოჰყვა.

მთლიანობაში, ტურში გატანილი 14 გოლიდან 10 ლეგიონერების ანგარიშზეა, მაგრამ ვლადიკავკაზში ვერც ლეგიონერებმა იხეირეს და ვერც ადგილობრივებმა. ამჟამად ბაზვა თედეევის გუნდმა ზედიზედ წაგებული ათამატჩიან სვლას წერტილი დაუსვა და ქულა მოიპოვა.

ვაჟა ხუციშვილი

ცსკა	19	12	4	3	37:22	40
დინამო	18	9	5	4	31:18	32
სატურნი	18	8	7	3	25:16	31
შინიკი	18	7	8	3	25:15	29
ზენიტი	18	8	5	5	23:22	29
კრილია	18	7	7	4	25:17	28
რუბინი	18	7	7	4	23:15	28
ლოკომოტივი	19	7	5	7	26:25	26
ტორპედო	18	6	6	6	21:22	24
როსტოვი	18	6	6	6	19:25	24
სპარტაკი	18	6	4	8	24:27	22
როტორი	18	5	4	9	22:27	19
ჩერნომორეცი	18	4	6	8	19:26	18
ურალანი	18	4	6	8	12:24	18
ალანია	18	4	1	13	10:31	13
ტ. მეტალურგი	18	2	5	11	12:22	11

2003 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

ფინალი

დინისმა აღრეული ვერ დაალაგა

ჯიბიდან ამომძვრალი ბრძოლა

პორტუგალია 0:2 იტალია

0:1 დელა როკა (3), 0:2 პაცინი (25)

პორტუგალია: პაულო რიბეირუ, ჟოაუ პერეირა, ამორეირინია, ჟოაუ პედრუ, დანიელი, ფილიპე ოლივეირა (პედრუ პერეირა 62), როდრიგუ ანდელო (ფონსეკა 39), სერჯიუ ორგანისტა, ელიუ პინტუ, უგო ალმეიდა, პაულუ სერჯიუ

იტალია: პაოლონი, ფერონეტი, მანტოვანი, ბელოტი, კიელინი, დასტოლფო (სტეფანი 90), აკილანი, პადოინი, პაცინი, პოტენცა, დელა როკა



ვადუცში, „რეინპარკის“ სტადიონზე, ფინალს 4 ათას 500 მაყურებელი დაესწრო. გუნდები ერთმანეთს ჯგუფშიც შეხვდნენ და ის მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

ოთხი წლის წინ, 1999 წელს, 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში პორტუგალიელებმა აპენინელებს სძლიეს.

პორტუგალიამ ამ ჩემპიონატზე თავის სასარგებლოდ ორი მატჩი შემოაბრუნა — ჯგუფში ნორვეგიასთან 0:2-ს აგებდა და გათანაბრება შეძლო. ნახევარფინალში ავსტრიას ასევე ორი ბურთის სხვაობით ჩამორჩა და თამაში მაინც გადაარჩინა. კარლოს დინისის შეგირდთა გმირობის მესამე მცდელობა ამაო გამოდგა. იტალიელები ნორვეგიელები და ავსტრიელები არ არიან, მოპოვებული უპირატესობა იოლად გაანიავონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კარლოს დინისის ნაკრები ტურნირზე გოლებს პირველივე ტაიმის დასაწყისში უშვებდა. ამჯერადაც იგივე მოხდა.

„მატჩის დასაწყისისთვის კონცენტრირება კვლავ ვერ შევძელით — თქვა ნამატჩევს დინისმა — რამაც საბოლოოდ დაგვღუპა. ჩვენი მთავარი პრობლემა აღრეული გოლი იყო, რის შემდეგაც თამაში ვეღარ დავალაგეთ. მეორე ტაიმში ვიბრძოლეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენი დღე არ გამოდგა“.

„სკუადრა აძურას“ თავკაცმა პაოლო ბერეტინიმ, ცხადია, გაიხარა: „ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ გუნდთან სამი წელია ვმუშაობ და აგერ, შედეგიც. საკვალიფიკაციო ეტაპიდან ფინალის ჩათვლით ცხრა მატჩში რვაჯერ ვიმარჯვეთ, ერთი კი ფრედ დავასრულეთ. იტალია ძლიერი და სოლიდური გუნდია. პორტუგალიელებთან პირველ ტაიმში გატანილმა სწრაფმა გოლმა ბიჭებზე დოპინგივით იმოქმედა და მთელი შეხვედრა შესანიშნავად ითამაშეს. ეს ნამდვილი ბრძოლა იყო. ნახეთ, მსაჯმა რამდენჯერ ამოაძრო ყვითელი ბარათი და თვითონვე დარწმუნდებით“.

ყვითელი ბარათები ნამდვილად ბლომად იყო — არბიტრმა ცხრა ფეხბურთელი გაფრთხილა, ერთი კი მატჩის მიწურულს გაძეკა. შეცვლაზე შესული ფლავიო იგორი პადოინის ეუხეშა და მოედნიდან მიაბრძანეს.

იტალიელებმა პირველი გოლი სწრაფი ფლანგური შეტევის შედეგად გაიტანეს. ჯორჯო კიელინიმ მარცხნიდან ჩაჭიდა, დელა როკამ კი თავურით პაულო რიბეირუს გაუტანა. „სკუადრა აძურას“ ნახევარდაცვა მეტოქისაზე უკეთ გამოიყურებოდა. პორტუგალიელებს დაცვის შემდულაბებელი მიგელ ანჟელო აკლდათ და აპენინელთა გამკლავება უჭირდათ. ტაიმის შუაწელში ალბერტო აკილანის პასით პაცინიმ მეორეც შეაგდო.

შესვენების შემდეგ აპენინელებმა თავი იტალიურად დაიცვეს და ჩემპიონობა იზეიმეს.

ᲒᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კონკაკაფი

მექსიკამ ბრაზილია შეიყნოსა

კონკაკაფის ოქროს თასი 2003

მატჩი III ადგილისთვის

აშშ 3:2 კოსტა რიკა

0:1 რ. ფონსეკა (24), 1:1 ბოკანეგრა (29), 1:2 რ. ფონსეკა (39), 2:2 სტიუარტი (56), 3:2 კონვი (67)

აშშ: კელერი, ბეიდუკი, კლაიფი, ბოკანეგრა, ვანეი, ბეხლი (ლუისი 78), კონვი (მასტროიენი 88), მალრუნი, რაილსტონი (მატისი 70), სტიუარტი, დონოვანი

კოსტა რიკა: მესენი, მარინი, ა. კასტრო (ბენეტი 35), რაატი, ლ. გონსალესი (პარკსი 76), ნინჩილია, ვ. ლოპესი (სკოტი 60), სოლისი, სენტენო, ბრიუსი, რ. ფონსეკა

მსაჯი: რიჩარდ პიპერი (ტრინიდადი და ტობაგო)

5 093 მაყურებელი

ფინალი

მექსიკა 1:0 დ.დ.(0:0) ბრაზილია

1:0 ოსორნო (97)

მექსიკა: ო. სანჩესი, სალასარი (მენდესი 77), ბრისენო, ოსორიო, კარმონა, ო. ვალდესი, პარდო, პერესი, რ. გარსია (ოსორნო 65), ბორგეტი, არელანო (ხ. როდრიგესი 66)

ბრაზილია: გომეში, მიიკონი, ლუიზაო, ალექსი, ადრიანო (კოელიო 61), პაულო ალმეიდა, ჟულიუ ბატისტა, დიეგუ, რობინიო (კარლოს ალბერტო 46), კაკა, ნილმარი (ვერტონი 90)

მსაჯი: მაურისიო ნავარო (კანადა)

60 000 მაყურებელი

ოქროს თასის ფინალი სახელგანთქმულ „აცტეკაზე“ გაიმართა. 80 ათასი გულშემატკივრის ღრიალში მასპინძლებმა ძირითად დროში ვერა, მაგრამ დამატებულში გატანილით მოიგეს. ზუსტად ასეთივე ანგარიშით დასრულდა ჯგუფში ამავე გუნდების შეხვედრა 13 ივლისს და მაშინაც მექსიკამ იმარჯვა.

მასპინძელთა მთავარი საზრუნავი დიეგუსა და რობინიოს „ამოკეტვა“ გახლდათ და მათ, ფაქტობრივად, ეს საქმე ფრიადზე შეასრულეს. მსოფლიოს ჩემპიონთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 90 წუთი უგოლოდ მიილია.

დამატებული დროის მეშვიდე წუთზე „აცტეკამ“ ვულკანივით ამოხეთქა. დანიელ ოსორნო მეტოქის ორ მცველს დაუსხლტა და გამარჯვების გოლი გაიტანა. ეს პირველ რიგში მექსიკელთა მწვრთნელის, რიკარდო ლავოლპეს ზეიმი იყო, რომელსაც ამ ტურნირის დაწყებამდე გამკიცხავები არ აკლდა.

„როდესაც გენდობიან, ვალდებული ხარ, ჯიგრიანად ითამაშო და ნდობა გაამართლო“ — თქვა გოლის ავტორმა. გახარებული იყო არგენტინაში დაბადებული ლავოლპიც. „ჩვენ მთელი მატჩის განმავლობაში ვაკონტროლებდით ბურთს და ვიცოდით, რომ ეს საბოლოოდ ნაყოფს გამოიღებდა. მართალია, შედეგმა დაიგვიანა, მაგარამ ცდა ამად ღირდა“.

მექსიკელმა ოსვალდო სანჩესმა ზედიზედ ხუთ მატჩში კარი მშრალად შეინახა და საუკეთესო მეკარედ დაასახელეს, ხოლო ხესუს აურელიანო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად.

როგორც კონკაკაფის თასის გამარჯვებული, მექსიკა 2005 წელს ფიფას კონფედერაციის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც გერმანია უმასპინძლებს.

ᲒᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

3Თ-2 ტური: დუბნიცა — ბანსკა ბისტრიცა 2:0; პუხოვი — ტრნავა 3:0; რუზომბეროკი — ინტერი 2:0; სლოვანი — ტრენჩინი 1:3; ზილინა — პეტრჟალკა 2:2

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ

3Თ-2 ტური: ნოვა გორიცა — შმარტნო 3:1; მარიბორი — დრავა 4:1; დრავოგრადი — ოლიმპია 1:0; ლიაბლიანა — პრიმორიე 0:4; პუბლიკუნი — მურა 3:0

ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ

1-ᲚᲘ ტური: რიეკა — ციბალია 0:1; მარსონია — ვარტექსი 0:0; სლავენი — კამენი 2:0; დინამო — ზადარი 4:2; ოსიეკი — ინკერი 3:2; ჰაიდუკი — ზაგრები 2:0

ᲨᲕᲔᲓᲘᲗᲘ

3Თ-16 ტური: იორგრიტე — აიკ 3:1; ჰალმსტადი — გიოტებორგი 1:0. *ჰამარბი — ლანდსკრონა, ჰელსინგბორგი — ელფსბორგი და მალმიო — სუნდსვალი (იხ. მე-2 გვერდზე)*

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ

3Თ-14 ტური: ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 0:2; ბრანი — ლინი 4:1; ბრინი — ვიკინგი 1:0; მიოლდე — ოდ გრენლანდი 0:1; სტაბეკი — სოგნდალი 2:3; ტრომსიო — ალესუნდი 0:1; ვოლერენგა — რუსენბორგი 0:1

რუსენბორგი	14	11	2	1	36:10	35
სოგნდალი	14	7	3	4	26:21	24
ოდ გრენლანდი	14	7	2	5	23:22	23
ბოდიო გლიმტი	14	6	4	4	18:15	22
ვიკინგი	13	5	6	2	21:13	21
სტაბეკი	14	5	5	4	22:19	20
ბრინი	14	6	1	7	25:22	19
ლილესტრიომი	14	4	6	4	14:21	18
ლინი	14	4	4	6	18:26	16
ვოლერენგა	14	3	5	6	15:17	14
მოლდე	13	4	2	7	16:21	14
ბრანი	14	3	5	6	17:25	14
ალესუნდი	14	2	6	6	17:24	12
ტრომსიო	14	3	3	8	18:30	12

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

3Თ-14 ტური: იარო — კუოპიო 4:2; ჰიკ — ინტერი 2:1; ჯაზი — ლაჰტი 1:1. *იოკერიტი — ჰაამენლინა და ტურკუ — ჰაკა (იხ. მე-2 გვერდზე)*

ჯაზი	14	4	2	8	18:32	14
კტპ	13	4	1	8	20:27	13
კუოპიო	14	2	3	9	15:34	9
ჰაკა	12	9	2	1	29:5	29
ჰიკ	14	8	4	2	26:13	28
ტამპერე	12	7	2	3	19:9	23
ალიანსი	11	6	3	2	23:16	21
მიუპა	12	6	2	4	18:11	20
ჰამენლინა	13	5	3	5	13:22	18
ტურკუ	13	4	5	4	17:16	17
ინტერი	14	4	3	7	21:24	15
ლაჰტი	14	3	6	5	16:19	15
იარო	14	3	6	5	19:24	15
იოკერიტი	12	4	2	6	14:16	14

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

22-ᲯᲘ ტური: ატლ. პარანენსე — პაისანდუ 1:1; გოიასი — ატლ. მინეირო 1:1; სანტოსი — ვასკუ და გამა 2:1; ფორტალეზა — პონტე პრეტა 2:3; კრისიუმა — კურიტიბა 2:3; ფლამენგო — სან პაულუ 1:1; გუარანი — ფიგეირენსე 3:0; ჟუვენტუდე — ფლუმინენსე 2:1; ვიტორია — პარანა 0:3; კორინთიანსი — გრემიო 1:0; კრუზეირო — ბაია 5:2; ინტერნასიონალი — სან კაეტანო 0:0

კრუზეირო	22	14	4	4	50:27	46
სან პაულუ	22	12	6	4	42:30	42
სანტოსი	21	12	5	4	41:23	41
კურიტიბა	22	11	5	6	35:27	38
კრისიუმა	21	11	3	7	30:27	36
ატლ. მინეირო	22	9	8	5	39:31	35
ინტერნასიონალი	22	9	6	7	30:28	35
კორინთიანსი	22	8	8	6	36:26	32
პარანა	21	9	4	8	42:35	31
გუარანი	22	9	4	9	35:31	31
სან კაეტანო	22	7	10	5	21:20	31
ფიგეირენსე	22	7	7	8	25:29	28
ფლამენგო	22	7	7	8	31:37	28
პონტე პრეტა	21	8	7	6	33:31	27
პაისანდუ	22	7	6	9	36:40	27
ვიტორია	22	7	6	9	25:36	27
ატლ. პარანენსე	21	7	5	9	29:29	26
ვასკუ და გამა	22	6	7	9	28:35	25
ბაია	22	6	6	10	25:34	24
ჟუვენტუდე	22	5	6	11	23:39	24
ფორტალეზა	22	6	4	12	27:37	22
ფლუმინენსე	22	6	4	12	25:39	22
გრემიო	22	5	4	13	22:33	19
გოიასი	21	3	8	10	33:39	17

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

1-ᲚᲘ ტური: ტეპლიცე — სპარტა 1:1; სიგმა — ზლინი 2:0; პრეიბრამი — იაბლონეცი 4:1; სლავია — ჟიჟკოვი 2:0. *ბაბიკი — ბუდეიოვიცე (იხ. მე-2 გვერდზე), ტურის დანარჩენი მატჩები გადაიდო*

პრეიბრამი	1	1	0	0	4:1	3
სიგმა	1	1	0	0	2:0	3
სლავია	1	1	0	0	2:0	3
ტეპლიცე	1	0	1	0	1:1	1
სპარტა	1	0	1	0	1:1	1
ლობეერეცი	0	0	0	0	0:0	0
ბრნო	0	0	0	0	0:0	0
ბანიკი	0	0	0	0	0:0	0
ბლშანი	0	0	0	0	0:0	0
პლზენი	0	0	0	0	0:0	0
ბუდეიოვიცე	0	0	0	0	0:0	0
ოპავა	0	0	0	0	0:0	0
სინოტი	0	0	0	0	0:0	0
ზლინი	1	0	0	1	0:2	0
ჟიჟკოვი	1	0	0	1	0:2	0
იაბლონეცი	1	0	0	1	1:4	0

ᲓᲐᲜᲘᲐ

1-ᲚᲘ ტური: ოლბორგი — კოპენჰაგენი 0:2; ესბიერგი — ორჰუსი 2:0; ნორდსაელენდი — აკადემისკი 1:1; მიდტიულანდი — ვიბორგი 1:1; ოდენსე — ფრემი 2:0; ბრონდბიუ — ჰერფიოლგე 2:0

ესბიერგი	1	1	0	0	2:0	3
ბრონდბიუ	1	1	0	0	2:0	3
კოპენჰაგენი	1	1	0	0	2:0	3
ოდენსე	1	1	0	0	2:0	3
ნორდსიელანდი	1	0	1	0	1:1	1
მიდტიულანდი	1	0	1	0	1:1	1
ვიბორგი	1	0	1	0	1:1	1
აკადემისკი	1	0	1	0	1:1	1
ფრემი	1	0	0	1	0:2	0
ორჰუსი	1	0	0	1	0:2	0
ჰერფიოლგე	1	0	0	1	0:2	0
ოლბორგი	1	0	0	1	0:2	0

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

მაქსბუნდესლიგა

I ტურის მატჩი

მატერსბურგი 3:1 შტურგი

1:0 კუჰბაუერი (23), 1:1 როხასი (31), 2:1 ფულოპი (38), 3:1 ვაგნერი (90)

რაპიდი	2	2	0	0	6:3	6
გრაცერი	2	2	0	0	3:1	6
მატერსბურგი	2	1	1	0	4:2	4
კერნტენი	2	1	1	0	2:1	4
აუსტრია	2	1	0	1	5:2	3
ბრეგენცი	2	1	0	1	1:4	3
ადმირა	2	0	1	1	1:2	1
შტურმი	2	0	1	1	1:3	1
ზალცბურგი	2	0	0	2	1:3	0
პაშინგი	2	0	0	2	3:6	0

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

სუპერლიგა. III ტური

ბაზელი 4:2 ცსამაძსი

1:0 დეგენი (11), 2:0, 3:0 ხიმენესი (19, 46), 3:1 მანგანე (60), 3:2 მარგაირაცი (85), 4:2 ბ. იაკინი (90)

სერვეტი 5:1 თუნი

1:0 ბრატიჩი (38), 2:0 აგერტერი (48), 3:0 კადერი (57), 4:0 კომიზეტი (70), 5:0 ძამბრელა (73), 5:1 მილიჩევიჩი (75)

სენტ გალენი 0:0 აარაუ

იანგ ბოისი 2:1 ციურიხი

1:0 შაუიზა (47), 2:0 ლეანდრო (63), 2:1 პეტროსიანი (80)

ბრასპო�ერი — ვილ					დღეს	გამართება
სერვეტი	3	3	0	0	9:2	9
ბაზელი	3	3	0	0	9:5	9
იანგ ბოისი	3	2	0	1	8:5	6
ქსამაქსი	3	2	0	1	5:4	6
აარაუ	3	1	2	0	3:2	5
თუნი	3	0	2	1	3:7	2
ვილი	2	0	1	1	2:4	1
სენტ გალენი	3	0	1	2	1:6	1
გრასჰოპერი	2	0	0	2	1:3	0
ციურიხი	3	0	0	3	2:5	0

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ

3Თ-4 ტური: შახტარი — ტავრია 2:0; ჩერნომორეცი — მეტალურგი (დ) 1:1; ბორისფენი — კარპატი 0:0; მეტალურგი (ზ) — ზირკა 3:1; არსენალი — ილიჩევეცი 0:2; დნიპრო — ობოლონი 1:0; კრივბასი — დინამო 0:1; ვოლინი — ვორსკლა 0:1

შახტარი	4	4	0	0	10:0	12
დნიპრო	4	4	0	0	10:1	12
დინამო	4	3	0	1	9:2	9
კარპატი	4	2	1	1	6:5	7
ჩერნომორეცი	4	2	1	1	4:3	7
მეტალურგი (ზ)	4	2	0	2	4:5	6
მეტალურგი (დ)	4	1	3	0	5:4	6
ილიჩევეცი	4	1	2	1	6:5	5
ვორსკლა	4	1	2	1	3:6	5
ობოლონი	4	1	1	2	3:4	4
კრივბასი	4	1	1	2	3:6	4
არსენალი	4	1	0	3	2:7	3
ზირკა	4	1	0	3	2:7	3
ტავრია	4	0	3	1	2:4	3
ბორისფენი	4	0	1	3	0:4	1
ვოლინი	4	0	1	3	3:9	1

ბექემი ესპანურად იგინება

რატომ დგანან ჩინელები წვიმაში?

ცხადია, საძაგლობაა: ადამიანები, მით უმეტეს თანაგუნდელები, ხან გაიღიმებენ, ხარ სერიოზულად დაილაპარაკებენ და ასე შემდეგ, ოღონდ არც ის გაღიმება იქნება რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობის ნიშანი და არც ის სერიოზულობა, ამიტომ ასეთ რამეებზე ჩასაფრება საძაგლობაა. ჩინეთში, სე ზონისწინა შეკრებაზე მყოფი „რეალის" ფეხბურთელების, პორტუგალიელი ლუიშ ფიგუსა და ინგლისელი დევიდ ბექემის ამბავს მოგახსენებთ. ამ ორ მარჯვენა ნახევარმცველს მსოფლიო მედია კონკურენტებად აღიქვამს და მათი ერთდროულად თამაშის თემას ყოველი მხრიდან ატრიალებს. არჩევენ, უკვირდებიან, მსჯელობენ. ამბობენ, რომ ფიგუს უფრო ეხერხება მარცხნივ განავარდება და იქნებ მწვრთნელის, კარლუშ კეირუშის გამოსავალიც ეს იყოს და სხვა, მაგრამ თეორიას რა უშავს, ცუდი ის არის, რომ ჩინური გაზეთი „ტიტან სპორტსი" გასულ შაბათს ორი ფოტოთი წარსდგა მკითხველის წინაშე. ერთზე ბექემი და ფიგუ, სავარჯიშოდ გასულნი, სერიოზულად უცქერენ ერთმანეთს, მეორეზე კი სასადილოდან ხელიხელგადახვეულნი, სიცილ-სიცილით გამოდიან

ბექემისა და ფიგუს ურთიერთობა ჯერჯერობით მართლაც შეუძლებელია რთული იყოს. ისინი რამდენიმე დღეა რაც ერთმანეთს იცნობენ და წარმოდგენა არ აქვთ, მომავალში ერთმანეთის კონკურენტები იქნებიან თუ საუკეთესო პარტნიორები. საინტერესოა, რომ ჟურნალისტები ყურადღებას იმაზეც ამახვილებენ, რომ ბექემმა ესპანური არ იცის, ფიგუ კი საკმაოდ გამართულად ფლობს ინგლისურს და ეს ფაქტორი ამ ორ ადამიანს, ჯერჯერობით მაინც, უნებლიედ აახლოებს. ასე ვთქვათ, ფიგუ ბექემისთვის ხმის გამცემია.

„რაგინდ ფუნქცია დაეკისროთ, მნიშვნელოვანი ის არის, რომ ორივენი „რეალს" უნდა ემსახურონ და არა თავიანთ თავს — განაცხადა კეირუშმა, რომელსაც ჩახვეული და, ჩვენი აზრით, ცოტა გაპრანჭული საუბარი არ ეშლება — იმედი მაქვს, აქ, ჩინეთში, ოთხ თამაშში დავინახავთ, როგორ უნდა დავსაქმოთ ფიგუ და ბექემი სწორად. დიახ, ისინი ნახევარდაცვაში თამაშობენ, მაგრამ, ვიმეორებ, უპირველესად ისინი „რეალში" თამაშობენ და ეს ყველაფერზე მთავარია".

ზემოთ ბექემის ესპანური ვახსენეთ და ამ თემის განვრცობა გვსურს, მაგრამ მანამდე ფოტოების თემას ამოვწურავთ. ხომ მოგახსენეთ, რომ „ტიტან სპორტსმა" ბექემსა და ფიგუს ორი განსხვავებული შინაარსის ფოტო გადაუღო, იგივე გააკეთა ინგლისურმა „სანმაც", ოღონდ „სანი" ზინედინ ზიდანს გადასწვდა და გამოაქვეყნა სურათი, რომელზეც ფრანგი ვარსკვლავი ინგლისელს თითქოს ბოღუშული შესცქერის (მიდი ახლა და ამტკიცე, რომ მზემ შეუჭვრიტინა), თან კიკინაზე. გაზეთმა ფოტოს მიაწერა, ვინ იცის, მელოტ ზიდანს დევიდისა შურსო.

ერთი სიტყვით, ჩავიდა ბექემი „რეალში" და ატყდა დავიდარაბა, მაგრამ დავიდარაბა უფრო რომ გაღრმავდეს — რაც „სანს" და, ალბათ, „ტიტან სპორტს" ერთობ მისცემს ხელს — საჭიროა ბექემმა ესპანური ისწავლოს (ან ვერ ისწავლოს). ჯერჯერობით ინგლისელი ვარსკვლავი გაკვეთილებზე არ დადის. ამ საქმეს ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგება, მაგრამ დრო უქმად, აბა, როგორ დაიხარჯება და თააგუნდელის განათლებით რობერტო კარლოსია დაკავებული.

„მე ვასწავლე დევიდს ესპანური სიტყვები, მაგრამ ამ სიტყვებს ვერ დაგისახელებთ, რადგან ბინძურია. ისე, ეტყობა, რომ ინდომებს. ჩვენ ყველანი ესპანურად ველაპარაკებით და ვხედავთ, რომ ნელ-ნელა წინ მივიწევთ — განაცხადა მარად მხიარულმა და კეთილგანწყობილმა ბრაზილიელმა მცველმა, რომელსაც ბექემის „რეალში" მისვლით საჯარიმო დარტყმათა მოცილე მიუვიდა — ჯარიმებს რაც შეეხება, დევიდ ბექემი მსოფლიოში ყველას სჯობია. მე და ის მოვილაპარაკებთ, თუ საჯარიმო საჯარიმოსთან ახლოს დაინიშნება, ბექემი დაარტყამს, უფრო შორს დანიშნულებს მე. მერედა, ნუ დაგვიწყდება, რომ ჩვენს გუნდში სხვა დიდოსტატებიც არიან, მაგალითად, ზიდანი და ფიგუ. ხანდახან მათთვისაც მოგვიწევს დათმობა".

ბოლოს კი „რეალის" ჩინური ტურნეს იმ მხარეებზეც მოგახსენებთ, რომელზეც ისევ „სანმა" გაამახვილა ყურადღება, რადგან ამ გაზეთს ასეთები უყვარს:

„რეალმა" ჩინელი ჩინოვნიკები გააბრაზა, რადგან ოფიციალურ სადილზე მივიდა და ლუკმის ჩაუდებლად ათ წუთში დასტოვა იქაურობა.

„რეალმა" გააბრაზა ჩინელი ქომაგები, რომელთაც 35 გირვანქა გადაიხადეს, რათა შაბათს ვარჯიში ენახათ, ვარჯიში კი გაუქმდა და ქომაგთათვის ფული არავის დაუბრუნებია. ცნობისთვის: 35 გირვანქა ჩინელთა საშუალო ხელფასზე ორჯერ მეტია.

„რეალმა" გააბრაზა ის მაყურებელი, რომელიც ერთი საათის განმავლობაში, წვიმაში იდგა და ელოდა მის ვარჯიშს, რომელიც მადრიდელებს იქვე, მეზობელ მოედანზე, უმაყურებლოდ გაეჩაღებინათ. „რეალი" შემდეგ გამოვიდა და 45 წუთი წაივარჯიშა.

ერთი სიტყვით, გაზეთს იმის თქმა უნდა, რომ „რეალის" ჩინური ტურნე იდეალურად არ მიმდინარეობს, ხოლო პრესკონფერენციაზე, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა კარლუშ კეირუშს ჰკითხა, ბოლოს და ბოლოს როდის აჩვენებთ წესიერად, თქვენს შორის ყველაზე მნიშვნელოვანს, დევიდ ბექემსო.

„რეალში" ყველაზე მნიშვნელოვანი, დევიდ ბექემი, ჩინეთში არანორმალურად პოპულარულია, მაგალითისთვის მოჰყავთ ერთი ბიჭის ისტორია, რომელმაც ამ დღეებში 40 საათი იმგზავრა, რათა ქვეყნის ერთი პროვინციიდან მეორეში ჩასულიყო და თავისი კერპი ახლოდან ენახა. როდესაც ამ ბიჭმა საბოლოოდ დამცავი ღობეც ჩამოიტოვა და მოედანზე ბექემისკენ კარგა ღრმად შეავარდა, დაცვა წამოეწია და გაიყვანა. ამბობენ, ბიჭი დამცავ ღობესთან მეორე დღესაც ტორლიალობდაო.

ხოლო რაც შეეხება ბანკეტს, რომელიც „რეალმა" ათ წუთში დასტოვა, მასზე კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, წარსულში დიდებულმა ფორვარდმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა:

„ჩვენ რამდენჯერმე შევუთვალეთ ადგილობრივ ორგანიზატორებს, რომ მოგზაურობის მეორე დილას მხოლოდ დასვენება გვინდოდა. რას იზამ, ახლა მხოლოდ მობოდიშებაღა შეგვიძლია".

პაპუნა კედია



ზიდანმა ბექემს ცუდად გახედა



ეროვნული ბიბლიოთეკა

როი მაკაი

მე მიუნხენში მივდივარ და...

„ჩვენ მას ვყიდულობთ, ოღონდ არა 21 მილიონ ევროდ, როგორც ესპანური გაზეთები წერდნენ, არამედ ნაკლებად" — ამბობს „ბაიერნის" თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე. ესე იგი, ჰოლანდიელი როი მაკაი მიუნხენში ითამაშებს?

„ჩვენ ორი კვირის წინ შევთანხმდით, თანხად 18 მილიონ ევროზე ნაკლები დავთქვით, მაგრამ მას მერე ჩამი-ჩუმი აღარ ისმის" — დასძენს რუმენიგეს კოლეგა, კლუბის კომერციული მენეჯერი ული ჰაინესი.

„ყველაფერი 15 აგვისტომდე უნდა გაირკვეს, რადგან ეს ჩემპიონთა ლიგაში განაცხადების შეტანის ბოლო თარიღია" — ეს ისევ რუმენიგეს ნათქვამი გახლავთ.

როი მაკაი: „ჩემი სურვილია, „ბაიერნისთვისაც" ისეთივე სასარგებლო გამოვდგე, როგორც „დეპორტივოსთვის" ვიყავი. ეჭვი არ მეპარება, რომ ბუნდესლიგაში თამაში დიდ სიამოვნებას მომანიჭებს. ჩემმა აგენტმა რობ იანსენმა უკვე უთხრა „დეპორტივოს" პრეზიდენტს, აუგუსტო ლენდორიოს, რომ მე მათთან ნამდვილად აღარ დავრჩები და „ბაიერნში" გადავალ. პირადად ჩემთვის ყველაფერი მოგვარებულია და ვინც რა უნდა დახლართოს, ლა კორუნიაში აღარ დავრჩები. რაც შეეხება იმას, რომ პროცესი გაიწელა, მინდა მოგახსენოთ: ჩემი ბრალი არაფერია. „ბაიერნის" ხალხი დამემოწმება, რომ ყოველი შეხვედრის დროს ჩემგან პატიოსანი საუბრის და დამოკიდებულების გარდა სხვა არაფერი უგრძნიათ. აღრე ამბობდნენ, რომ ჩემი აღნაგობის და მონაცემების კაცი ინგლისში უნდა მიდიოდეს, რადგან იქ შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და ყოველ შეხვერაში მომენტი მომენტზე მექნებოდა. მაგრამ მომიტევეთ და მწამს, ბუნდესლიგაში თავს ჩინებულად ვიგრძნობ. რაც შეეხება ესპანეთს, არ მსმენია, რო ჩემით „ვალენსიას" გარდა ვინმე დაინტერესებულიყო, ხოლო „ბარსელონა", ჩემპიონთა ლიგაში არ გამოდის და მე არ მაინტერესებს. ვიცი, იქ ჩემი მეგობრები მრავლად არიან, მაგრამ „ბაიერნში" გადასვლა ყველას მირჩევნია. ეს გუნდი „რეალის", „მანჩესტერის" და უძლიერესი იტალიელების ტოლი და სწორია. ერთადერთი, რაზეც გული დამწყდება, ლა კორუნიელი ქომაგები არიან და იმედი მაქვს, ასეთსავე ქომაგებს მიუნხენში შევიძენ".

პაპუნა კედია

ᲐᲛᲡᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ 2:2(პენ.5:6) ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ

0:1, 0:2 სავიოლა (28Ჯ, 4Თ), 1:2 დი ვაიო (86), 2:2 მიკოლი (87)

ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ: ბუფონი, ბირინდელი (ფრუნი 76), ლეგროტაღლიე (ფერარა 76), იულიანო (მონტერო 77), ძამბროტა (ბესოტო 62), აპია, ტაკინარდი (კონტე 76), დავიდსი (მარეხაკ 62), ნედვედი (კამორანეზი 62), დელ პიერო (მიკოლი 62), ტრეზეგე (დი ვაიო 62)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ: რუშუუ (ვალდესი 46), პუიოლი, ჯ. ანდერსონი, რაიციგერი, ოსკარ ლოპესი, სავი (ინიესტა 74), ხერარდი (დავიდ სანჩესი 63), კკარესმა (როსი 77), ლუის ენრიკე (ლუის გარსია 46), ოვერმარსი (დანი 46), სავიოლა (რონალდინიო 46)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ლეგროტაღლიე

მსაჯი: კევინ ტერი (აშშ)

60 000 მაყურებელი

ბოსტონში, 60 ათასი მაყურებლის წინაშე, ერთმანეთს ევროპის ორი დიდი გუნდი, „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“ დაუპირისპირდა. ეს გახლდათ ჰოლანდიელი მწვრთნელის, ფრანკ რაიკარდის დებიუტი კატალონიელთა თავკაცის რანგში და, უნდა ითქვას, რომ 86-ე ანუ შეხვედრის ბოლო ოთხ წუთამდე ყველაფერი მის სასარგებლოდ მიდიოდა, „ბარსა“ 2:0-ს იგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს, იტალიელების მხრივ თავი ფაბრიციო მიკოლიმ გამოიდო.

შეგახსენებთ მიკოლის ვინაობას: ეს ახალგაზრდა „იუვეს“ დიდი ხანია ეკუთვნის, მაგრამ გასულ სეზონში ის „პერუჯაში“ იყო გასესხებული, ახლა კი „ბებერ ქალბატონს“ დაუბრუნდა. სწორედ ამ მიკოლიმ მოახერხა ჯერ მარკო დი ვაიოსთვის ასისტენტობის გაწევა, შემდეგ კი გოლის თავად შეგდება და საქმის პენალტებამდე მიყვანა.

პენალტებში მაინც რაიკარდის ხალხმა იმძლავრა. იტალიელთაგან გოლები ვერ გაიტანეს ენცო მარესკამ და ჯანლუკა პესოტომ, კატალონიელთაგან კი მხოლოდ ლუის გარსიამ.

„იუვენტუსის“ მწვრთნელის, მარჩელო ლიპის მხრივ „ბარსელონასთან“ შეხვედრა ერთობ საინტერესო ტაქტიკურ ექსპერიმენტს დაემთხვა — ნახევარდაცვაში ედგარ დავიდსის მხარდამხარ სტეფან აპია ათამაშა, შესაბამისად, მაურო კამორანეზი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ანგარიში კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, „ბარსამ“ გახსნა. „იუვეს“ ახალწვეულმა მცველმა, ნიკოლა ლეგროტაღლიემ შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც არგენტინელი ფორვარდი ხავიერ სავიოლა წააქციეს და პენალტი თავად დაარტყა. ამის შემდეგ ტურინელებმა ანგარიშის გათანაბრება მოინდომეს. კატალონიელთა ახალ გოლკიპერს, რუშუუს პაველ ნედვედმა და ალესანდრო დელ პიერომ დაურტყეს კიდეც თითო გამოსაცდელი, მაგრამ გოლი ისევ მათ კარში გავიდა. ეს ასე მოხდა: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი ანდერსონმა დაარტყა. დარტყმა მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა მოიგერია, მაგრამ ზემოხსენებული სავიოლა, პირველი გოლის ავტორი, იქვე გახლდათ ჩასაფრებული და ანგარიში გაზარდა.

შესვენების შემდეგ „ბარსელონას“ შემადგენლობაში ასე რეკლამირებული ბრაზილიელი, რონალდინიო გამოჩნდა. თუმცა, ბუფონისთვის სახიფათოდ მას არ დაურტყამს, ეს ლუის გარსიამ ჩაიდინა.

მე-60 წუთისთვის ტურინელებმა არაერთ ცვლილებას მიმართეს, რომელთა შორის ყველაზე ყურადსაღები ზემოხსენებული მიკოლისა და დი ვაიოს შემოსვლა აღმოჩნდა.

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ

რონალდინიომ „ბარსელონას“ მაისურა ამერიკაში მოირგო



ᲚᲣᲘᲡ ᲔᲜᲠᲘᲙᲔ: ᲠᲐᲘᲙᲐᲠᲓᲛᲐ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ

„ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲛ“ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ. ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ „ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲪᲚᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲡᲐ �თᲣ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. „ᲑᲐᲠᲡᲐᲡ“ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲜ ᲚᲣᲘᲡ ᲔᲜᲠᲘᲙᲔᲡ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ „ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ ᲒᲐᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ

— ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ, �გᲣᲜᲓᲨᲘ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲝ. ᲐᲮᲚᲐ „ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ“ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐᲐ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ.

— გუნდში ყოველთვის საჭიროა ისეთი მობურთალები, რომლებიც მინდორზე დისციპლინითა და შედეგიანობით გამოირჩევიან. „ბარსაში“ არიან ისეთი მოთამაშეები, რომელთაც ვარსკვლავებს ვერ უწოდებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კლუბის გამარჯვებებში უზარმაზარი წვლილი შეაქვთ.

— რონალდინიო თუ მიეკუთვნება მათ რიცხვს?

— რონალდინიო დიდებული ფეხბურთელია. სწრაფია, ძლიერი, ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის და მოედანსაც იდეალურად ხედავს. ვფიქრობ, ესპანურ პრიმერაში და სხვაგანაც კარგად ითამაშებს და ბევრ გოლს გაიტანს მიუხედავად იმისა, რომ „ბარსას“, პსჟ-სგან განსხვავებით, ბევრად უფრო რთულ ტურნირებში მოუწევს გამოსვლა. ბრაზილიელი თავდამსხმელი ჩვენი იმედია.

— რონალდინიო კარგი ფეხბურთელიცაა და მსოფლიო მედიისა თუ სარეკლამო კომპანიების თაყვანისცემის ობიექტიც. დღეს რომელიმე დიდ კლუბში მოსახვედრად მარტო მოედანზე ჩინებული გარჯა არ კმარა. რას იტყვით ამის შესახებ?

— გეტყვით, რომ სრულებით არ მაინტერესებს, მისი რამდენი მაისურა გაიყიდება. კი, რა თქმა უნდა, კლუბის ეკონომიკურ ინტერესებს ვითვალისწინებ, მაგრამ ჩემთვისაც და იმ 25 000 ინჩასისთვისაც, რონალდინიოს გასაცნობად „კამპ ნოუზე“ რომ შეიკრიბა, მთავარი მისი კარგი ბურთაობა და გოლებია. ფეხბურთელი გამოცდას სადმე ბაზარში კი არა, თავგამოდებული გულშემატკივრებით სავსე სტადიონზე გადის. იმედი მაქვს, რონი ყოველგვარ გამოცდას იოლად ჩააბარებს.

— დანარჩენ ტრანსფერებზე რას იტყვით?

— მარკესის მონაწილეობით მექსიკის ნაკრების მატჩები მაქვს ნანახი. ძლიერი მცველია, თავის უშუალო საქმესთან ერთად ჩვენი პასებით მომარაგება და მოედნის ცენტრში თამაშიც შეუძლია. რუშუუ კი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, ხოლო კკარესმა დიდი მომავლის მქონე ვარსკვლავებიჭუნაა.

— უკვე მეოთხე წელია, „ბარსელონას“ დიდი ჯილდოები არ მოუპოვებია...

— დარწმუნებული ვარ, ამ სეზონში მრავალ გამარჯვებას ვიზეიმებთ. შარშანდელი პრიმერას დასაწყისშიც ასე ვფიქრობდი, მაგრამ მაშინ რაღაც-რაღაცეებმა ხელი შეგვიშალა. ახლა გუნდში დიდი ცვლილებებია, ახალი პრეზიდენტი და მისი გარემოცვა სერიოზულად იბრძვიან „ბარსას“ გასაძლიერებლად. ყველაზე ცუდი ის კი არ არის, ჯილდოს [illegible] ვრჩებით, არამედ ის, [illegible] კნელი ორი პრიმერას განმავლობაში ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი თვით ადრე წყდება ჩვენი ბედი — სატურნირო ცხრილში ადგილის გადაწყვეტა არ შეგიძლია და გულხელდაკრეფილი შეგცქერით როგორ იბრძვიან სხვა გუნდები ჩემპიონობისთვის.

— განცლილ პრიმერადივიზიონში საკუთარ თამაშს თუ[illegible] შეაფასებდით?

— ძალიან ძნელი [illegible] ტრამვეებმა გამტანჯეს. ორმაგი დატვირთვით ვმუშაობდი და [illegible] ნზე ჭრილობამოუშუშებელი [illegible] ვდიოდი. სამწუხაროდ, ამან ვერც მე მიმიტანა სახელო[illegible] ვერც „ბარსას“.

— ფრანკ რაიკარდის შესახებ რას იტყვით?

— საჭმეს დიდი რწმენითა და პროფესიონალიზმით ეკიდება, ესპანეთის ჩემპიონატის და სხვა პრესტიჟულ ტურნირებზე „ბარსელონას“ დაწინაურება [illegible] გასა მის წინამორბედებს [illegible] არ უნდოდათ [illegible] მწვრთნელობა ერთიანად [illegible] ლიცაა და [illegible] ძლიერი [illegible] დროზე შესანიშნავ [illegible] იყო, რაც ნგლიან ფრანციზმობაში მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს.

— „ბარსა“ კვლავინდებურად მყარად ვერ დგას ევროპის წამყვან გრანდკლუბებს შორის. ამას რითი ახსნით?

— ევროპის კლუბების [illegible] რე ჩემპიონია [illegible] ვაძლევლით ი[illegible]. ჩვენი [illegible] ამ ტურნირის ბოლო ორ სეზონში კარგად გამოდიოდა. მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზოლებში რატომღაც ყოველთვის არ გვიმარცლებდა.

ფრანკ რაიკარდი და ლუის ენრიკე ახალ „ბარსელონაზე“ ლაპარაკობენ

მამადუმაც გაიხარა

საფრანგეთი

სუპერთასი

ლიონი 2:1 ოსერი

1:0 ესიენი (5), 2:0 დიარა (9), 2:1 კაპო (83)
ლიონი: კუპე, რაველიერი, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ვიოლო (დორასო 66), მალუდა (კარიერი 66), მ. დიარა, ესიენი,ჟუნინიო, ვიალე (ბერგონო 27)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
ოსერი: კული, ფაურე, რადეტი (დიუმბე 79), ბუმსონგი, მექსეში, ლაშუერი, ტაინიო, კალუ (კაპო 46), მატისი, ჯ. სისე, აკალე (ა. გონსალესი 70)
მწვრთნელი: გი რუ
გაფრთხილება: ესიენი
მსაჯი: ლორან დუმელი
18 254 მაყურებელი

საფრანგეთში სეზონი გაიხსნა. სუპერთასისთვის ერთმანეთს ჩემპიონი „ლიონი" და თასის მფლობელი „ოსერი" შეხვდნენ.

შარშან ეს ჯილდო „ლიონს" დარჩა, რომელმაც „ლორიანი" 5:0 დაამარცხა. ლიონელებმა ამჯერადაც იმარჯვეს და ჩემპიონატის დასაწყისისთვის კარგ გუნებაზე დადგნენ.

პოლ ლე გუენის გუნდი ქომაგების წინაშე სახეცვლილი წარსდგა. ახალწვეულებმა, ანტონი რეველერმა, მიქაელ ესიენმა და ფლორან მალუდამ მატჩის შემდეგ მწვრთნელს საქებარი სიტყვები დასტყუეს.

მხცოვანი გი რუს არ ჰყავდა ხალილუ ფადიგა, რომლის გულისა და „ინტერში" გადასვლის ამბავი კვლავ გაურკვეველია. სამაგიეროდ, როტერდამის „ფეიენოორდიდან" გადასულმა ბონავენტურე კალუმ ითამაშა და იგი მეორე ტაიმში ოლივიე კაპომ შეცვალა.

ჩემპიონებმა შეხვედრა საკადრისად დაიწყეს და ათ წუთში მეტოქეს ბდღვირი ადინეს. გულშემატკივართა ნაწილს შარშანდელი „ლიონი" — „ლორიანი" გაახსენდა და კვლავ გოლების ცვენას ელოდა, მაგრამ თამაშის დასაწყისში გაშვებული ორი გოლის შემდეგ „ოსერი" დალაგდა, „ლიონი" კი დამშვიდდა.

მეხუთე წუთზე „გენგამიდან" შეძენილმა ესიენმა პოლ ლე გუენი გაახარა და ანგარიში გახსნა. მალე მამადუ დიარამაც ზუსტად გაისროლა და 2:0 გახადა.

ამის შემდეგ ვითარებას ძირითადი „ოსერი" აკონტროლებდა. ორჯერ „ლიონის" კარის ძელიც შეაქანა, მაგრამ საპასუხო გოლი შეხვედრის მიწურულს გავიდა, როცა ჯიბრილ სისეს ჩაწოდებული ბურთი კაპომ კუპეს კარში შეაცურა.

პოლ ლე გუენი: „ახალწვეულებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი იოლად ჩაეწერნენ ჩვენს სათამაშო სქემაში. ეტყობათ, რომ მონდომებულნი არიან და თავი არ დაუზოგავთ. ეს ფაქტი უკეთესობის წინაპირობაა. სეზონი ჯერ არ გახურებულა და პირველი ჯილდო მოვიგეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალ უქმეებზე სტუმრად „ლილთან" რთული მატჩი გველის. გუნდში საკმაოდ მაღალი კონკურენციაა, ვიღაც შეიძლება ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდეს. მათი შერჩევისას ნებისმიერი მატჩის წინ მკაცრი და სამართლიანი ვიქნები".

გი რუ: „საწყის ათ წუთში მეტოქემ აშკარად გვაჯობა. მთელი მატჩის განმავლობაში ისინი ჩემს ფეხბურთელებზე ფიზიკურად უკეთესად მომზადებულნი ჩანდნენ. „ლიონის" დონე ყოველწლიურად მაღლდება. მასსა და დანარჩენ გუნდებს შორის სხვაობა უკვე აშკარაა".

ვაჟა ხუციშვილი



კარგად ისვენებ, სვენ?

ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი პლაჟზე ისეთ ამბავშია... 55 წლის სპეციალისტი თავის 44 წლის საყვარელს, ნენსი დელოლიოს ვერ წყდება — ვისაც არ გჯერათ, ფოტოებს დახედეთ, ხოლო ვინც ჯერ 55-ისა არა ხართ, იმედს ნუ გადაიწურავთ.

სვენი და ნენსი, რომელიც 44 წლის ქალისთვის თურმე ჩინებულ ფორმაშია (ფოტო ფოტოდ და ვინც „ლაივში" ნახა, იმას უფრო დაეჯერება), თურმე თინეიჯერებივით ყოფილან. თვითმხილველთა მტკიცებით, პირდაპირ პლაჟზე ლაციცობენ, ერთმანეთს ვერ წყდებიანო. მაგრამ, თუ იშვიათად მაინც შორდებიან ერთმანეთს — თუნდაც ერთი მეტრით — იმწუთას იოგას ვარჯიშს იწყებენო. ვარჯიშები კი ერიკსონს ნაირნაირი სცოდნია.

კიდევ, ამბობენ, რომ წყვილი დაქორწინებას გაისად აპირებს.

ხოლო სვენის ყოფილ საყვარელზე, 35 წლის ტელეწამყვან ულრიკა იონსონზე აი, რა ითქვა: ის თურმე ინგლისელთათვის ცნობილ, ვინმე ლენს ჯერარდ-რაიტზე თხოვდება და ქორწილი მომავალ თვეში იქნებაო.

პაპუნა ძედია



ამხანაგური მატჩები

მალაიზია 1:4 ჩელსი (ინგლისი)
0:1 ლამპარდი (36), 1:1 ომარი (39), 1:2 ჰასელბაინკი (69), 1:3 გუდიონსენი (82), 1:4 გ. ჯონსონი (85)

მალაიზია 0:4 ბირმინგემი (ინგლისი)
0:1, 0:2 ჯონი (8, 50), 0:3 კლემენსი (76), 0:4 ბრაიან ჰიუზი (82)

ორლანდო პაირატსი (ს. აფრიკა) 2:1 ტოტენჰემი (ინგლისი)
1:0 ლეკოელეა (76), 1:1 მუამბა-მუსასა (77), 2:1 მანიატელა (853)

ასტონ ვილა (ინგლისი) 4:0 უმეა (შვეიცარია)

ლივერპული (ინგლისი) 6:0 ჰონკონგი

რომა (იტალია) 2:1 ფულემი (ინგლისი)

პსჟ (საფრანგეთი) 0:2 პორტუ (პორტუგალია)

მარსელი (საფრანგეთი) 5:1 პაოკ (საბერძნეთი)

სპორტინგი (პორტუგალია) 0:2 ბასტია (საფრანგეთი)

ბორდო (საფრანგეთი) 0:3 ლევერკუზენი (გერმანია)

ლე ავრი (საფრანგეთი) 1:1 რენი (საფრანგეთი)

სელტიკი (შოტლანდია) 1:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

ლაციო (იტალია) 0:4 მონტერეი (მექსიკა)

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 3:1 ამერიკა (მექსიკა)

რეკლამა
სარბიელ — ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ჩუმად, ჩუმად, არავინ გაიგოს

დღეს დილით ევროპის საკლუბო ჩემპიონი, იტალიური „მილანი" ამერიკაში გაფრინდა. „შავწითლები" აშშ-ში ერთ კვირას დარჩებიან და ორჯერ ითამაშებენ. ხვალ ვაშინგტონში ესპანურ „ბარსელონას" გაეჯიბრებიან ამხანაგურად, 3 აგვისტოს კი იტალიის სუპერთასისთვის ნიუ იორკში ტურინის „იუვენტუსს" დაეჯახებიან.

კარლო ანჩელოტიმ ამერიკაში 24 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: *დიდა, აბიატი, ფიორი;*
მცველები: *კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, შიმიჩი, ლაურსენი, კოსტაკურტა, პანკარო, როკე ჟუნიორი;*
ნახევარმცველები: *გატუზო, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, ამბროზინი, რედონდო, სერჯინიო, ბროკი;*
თავდამსხმელები: *შევჩენკო, ინძაგი, ბორიელო, პიკოლო.*

როგორც ხედავთ, ამერიკაში არ წასულან ბრაზილიელი რივალდო და დანიელი ტომასონი. ეს უკანასკნელი მხრის ტრავმას დღემდე იშუშებს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩში ამსტერდამის „აიაქსთან" მიიღო. რივალდო კი ანჩელოტის თხოვნით მილანელოში დარჩა, ინდივიდუალურად უნდა მოემზადოს. ყმაწვილი პიკოლო კარლიტომ ახალგაზრდული გუნდიდან აიყვანა, ვარჯიშებზე თავს არ ზოგავს, შანსს მივცემო.

ამერიკაში წასვლამდე კარლო ანჩელოტიმ „მილანი" ორად, პირობითად წითლებად და თეთრებად გაყო და ერთმანეთში ათამაშა. მსაჯობა თავად ითავა, ლაინსმენობა კი თანაშემწეებს — ტასოტის და ჩასკინის დაავალა. „თეთრებმა" ფილიპო ინძაგის გოლით 1:0 მოიგეს, ჩვენებური კახა კალაძე „წითელი" გახლდათ.

„წითლები": აბიატი — შიმიჩი, ლაურსენი, მალდინი, კალაძე — გატუზო, რედონდო, ზეედორფი — რუი კოშტა — ბორიელო, პიკოლო.

„თეთრები": დიდა — კაფუ, ნესტა, როკე ჟუნიორი, პანკარო — ბროკი, ამბროზინი, პირლო, სერჯინიო — რივალდო — ინძაგი.

დაისვენეს ფიორიმ, კოსტაკურტამ და შევჩენკომ. ტომასონი კი, გითხარით, ტრავმირებულია.

დაბოლოს, ერთი ფრიად საინტერესო და საყურადღებო ინფორმაცია, რომელიც „მილანის" ერთ-ერთმა ვებ-გვერდმა სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა: თურმე რომაელი ფრანჩესკო ტოტი უკვე „მილანის" ფეხბურთელია და ორივე კლუბი ტრანსფერს შეგნებულად არ ამჟღავნებს. მიზეზი? „რომას" ტიფოზები სეზონურ აბონემენტებს ბლომად ყიდულობენ. რომ გაიგონ, მათი კერპი „რომაში" აღარ ითამაშებს, რაც შეიძინეს, იმას უკლებლივ დააბრუნებენ, თან ფრანკო სენსის რეპუტაცია ძალიან შეირყევა და „რომაც" ფინანსურად ძლიერ იზარალებსო.

31 აგვისტოს, ზაფხულის ბოლო სატრანსფერო დღეს გაცხადდება, ფრანჩესკო ტოტი „მილანში" 35 მილიონ ევროდ გადავიდაო.

გიორგი გაჩეჩილაძე

ამბობენ, ფრანჩესკო ტოტი უკვე „მილანისააო"

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. ბუნდესლიგა						
		I ტური						
		1 აგვისტო						
23.30	001	ბაიერნი-აინტრახტი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	002	ბაიერნი-აინტრახტი 0:1	1,65	3,3	3,3			
		2 აგვისტო						
18.30	003	ჰამბურგი-ჰანოვერი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
18.30	004	შალკე-დორტმუნდი	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
18.30	005	ლევერკუზენი-ფრაიბურგი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
18.30	006	ვოლფსბურგი-ბოხუმი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.30	007	კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.30	008	ჰერტა-ვერდერი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		3 აგვისტო						
20.30	009	ჰანზა-შტუტგარტი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
20.30	010	მიონხენგლადბახი-კიოლნი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		I ტური						
		3 აგვისტო						
18.00	011	არმინია-ობერჰაუზენი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.00	012	ფიურტი-უნტერჰახინგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	013	აუე-რეგენსბურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.00	014	კოტბუსი-ტრირი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.00	015	მაინცი-უნიონი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.00	016	ბურგჰაუზენი-ალემანია	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
18.00	017	ალენი-ოსნაბრიუკი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	018	დუისბურგი-ლიუბეკი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		4 აგვისტო						
23.15	019	კარლსრუე-ნიურნბერგი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		გერმანია						
		რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური						
		1 აგვისტო						
21.30	020	ვერდერი(მ)-კილი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.00	021	დორტმუნდი(მ)-პადერბორნი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
22.30	022	ვატენშაიდი-ზტ.პაული	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
		2 აგვისტო						
17.00	023	ლაიპციგი-ჭემნიცი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
17.00	024	მიუნსტერი-შალკე(მ)	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
17.00	025	ურდინგენი-ვუპერტალი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
17.00	026	ნოიმიუნსტერი-ჰამბურგი(მ)	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
		3 აგვისტო						
17.00	027	ბრაუნშვაიგი-დინამო	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.00	028	კიოლნი(მ)-ესენი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). I ტური						
		1 აგვისტო						
22.00	029	კაიზერსლაუტერნი(მ)-შტუტგარტი(მ)	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
22.00	030	კიკერსი-მაინცი(მ)	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
22.00	031	ელვერსბერგი-აუგსბურგი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
		2 აგვისტო						
17.30	032	ბაიერნი(მ)-ერფურტი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
17.30	033	აალენი-შვაინფურტი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
17.30	034	ფოიხტი-ზაარბრიუკენი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
17.30	035	ჰოფენჰაიმი-ეშბორნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	036	ოფენბახი-ფულენდორფი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		3 აგვისტო						
18.00	037	ზიგენი-ვეენი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური						
		1 აგვისტო						
23.45	038	ლილი-ლიონი	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
		2 აგვისტო						
20.15	039	მონაკო-ბორდო	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
23.00	040	მონპელიე-რენი	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
23.00	041	პსჟ-ბასტია	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
23.00	042	სოშო-ნანტი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	043	ტულუზი-სტრასბური	2,1	3,0	3,5	1,23	1,31	1,61
23.00	044	მეცი-აიაჩო	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
23.00	045	ოსერი-ნიცა	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
23.00	046	გენგამი-მარსელი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.00	047	ლანსი-ლე მანი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03
		საფრანგეთი. II დივიზიონი. I ტური						
		1 აგვისტო						
21.00	048	ლე ავრი-ნანსი	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
		2 აგვისტო						
23.00	049	ანჟე-ვალანსი	2,3	3,0	3,1	1,3	1,32	1,52
23.00	050	შატორუ-სტ.ეტიენი	1,9	3,0	4,2	1,16	1,3	1,75
23.00	051	კლერმონი-რუანი	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.00	052	ვერენობლი-ბესანკონი	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.00	053	ვენიონი-ლორიანი	2,4	2,9	3,0	1,31	1,33	1,47
23.00	054	ისტრი-სედანი	2,8	3,0	2,45	1,44	1,3	1,34
23.00	055	ლავალი-ამიენი	1,85	3,0	4,4	1,14	1,3	1,78
23.00	056	ნიორი-კრეტეი	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
23.00	057	ტრუა-კაენი	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
		ჩეხეთი. I ტური						
		30 ივლისი						
20.15	058	სინოტი-პლზენი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		სლოვაკეთი. III ტური						
		2 აგვისტო						
20.00	068	ინტერი-პუხოვი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
20.00	069	ბ.ბისტრიცა-სლოვანი	2,5	3,0	2,7	1,36	1,29	1,42
22.00	070	ტრნავა-ჟილინა	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
22.00	071	ტრენჩინი-რუჟომბეროკი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		3 აგვისტო						
13.30	072	პეტრჟალკა-დუბნიცა	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		დანია. სუპერლიგა. II ტური						
		2 აგვისტო						
20.00	080	კოპენჰაგენი-ოდენსე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		3 აგვისტო						
18.00	081	აკადემისკი-ოლბორგი	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
18.00	082	პერფიოლგე-მიდტიულანდი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
18.00	083	ვიბორგი-ესბიერგი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
18.00	084	ორჰუსი-ნორდსიელანდი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
20.35	085	ფრემი-ბრიონდბიუ	4,8	3,5	1,65	2,02	1,22	1,12
		ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური						
		30 ივლისი						
21.00	096	ბრეგენცი-შტურმი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
22.30	097	მატერსბურგი-კერნტენი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.30	098	რაპიდი-ადმირა	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		ავსტრია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი						
		2 აგვისტო						
22.30	099	ზალცბურგი-გრაცერი	2,4	3,2	2,8	1,37	1,29	1,49
		ავსტრია. I დივიზიონი. III ტური						
		29 ივლისი						
22.00	100	აუსტრია(ლ)-ლეობენი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
22.00	101	ბლაიბერგი-ლუსტენაუ	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.00	102	კაფენბერგი-ლინცერი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
22.00	103	რიდი-ინტერვეტენი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.00	104	ვიორგლი-ტიროლი	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
		შვეიცარია. სუპერლიგა. III ტური						
		29 ივლისი						
22.30	111	გრასჰოპერი-ვილი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	112	გრასჰოპერი-ვილი 0:1	1,9	3,2	2,7			
		შვეიცარია. სუპერლიგა. IV ტური						
		2 აგვისტო						
22.30	113	აარაუ-სერვეტი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
22.30	114	ქსამაქსი-იანგ ბოიზი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.30	115	თუნი-გრასჰოპერი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
22.30	116	ვილი-ბაზელი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
22.30	117	ციურიხი-სტ.გალენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
		შვედეთი. სუპერეტა. XVI ტური						
		30 ივლისი						
22.00	182	ოპერა-ასირისკა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
		ნორვეგია. გადადებული მატჩი						
		30 ივლისი						
21.00	193	ვიკინგი-მოლდე	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
		ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური						
		30 ივლისი						
23.00	194	ლინი-ბოდიო გლიმტი	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5
		ფინეთი. გადადებული მატჩი						
		31 ივლისი						
20.30	211	ალიანსი-ჰაკა	2,9	3,3	2,25	1,54	1,26	1,33
		ისლანდია. XII ტური						
		29 ივლისი						
00.15	220	ფილკირი-ვესტმანაეიარი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 ივლისი						
00.15	221	აკრანესი-რეიკიავიკი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
		31 ივლისი						
00.15	222	ფრამი-გრინდავიკი	3,5	3,3	1,95	1,69	1,25	1,22
00.15	223	აკურეირი-თროტური	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		ბრაზილია. გადადებული მატჩები						
		30 ივლისი						
04.30	224	ატლეტიკო პრ-სანტოსი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
04.30	225	გოიასი-პონტე პრეტა	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
		31 ივლისი						
04.30	226	პარანა-კრიციუმა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		იტალია. სუპერთასი (აშშ-ში)						
		3 აგვისტო						
24.00	303	იუვენტუსი-მილანი	2,6	2,9	2,7	1,37	1,32	1,39
		ბელგია. სუპერთასი						
		2 აგვისტო						
23.30	304	ბრიუგე-ლუვიე	1,25	5,3	9,0	1,01	1,09	3,33
		ჩემპიონთა თასი. II ეტაპი. I მატჩები						
		30 ივლისი						
21.00	305	ტირანა-გრაცერი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
21.00	306	ლეოტარი-სლავია	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
21.00	307	ცსკა(მ)-ვარდარი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
21.00	308	პუნიკი-ცსკა(ს)	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
22.00	309	ვისლა-ომონია	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
22.00	310	შერიფი-შახტარი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.00	311	მტკ-ჰიკ	1,55	3,8	5,3	1,1	1,19	2,21
23.00	312	კოპენჰაგენი-სლიმა	1,06	9,0	20,0	1	1	6,2
23.00	313	პარტიზანი-იურგორდენი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	314	რაპიდი(ბ)-ანდერლეხტი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.00	315	კაუნასი-სელტიკი	7,0	3,8	1,45	2,46	1,2	1,04
23.15	316	ჟილინა-მაკაბი(თ-ა)	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.15	317	მარიბორი-დინამო(ზ)	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.45	318	ბოჰემიანსი-რუსენბორგი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
		ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები						
		30 ივლისი						
21.00	319	ციბალია-ვოლფსბურგი	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
22.30	320	პაშინგი-ვერდერი	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32
22.30	321	ჰერენვენი-კოპერი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.00	322	ნანტი-პერუჯა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.00	323	ბრნო-ვილიარეალი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
23.15	324	შალკე-ლიბერეცი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
		ამხანაგური მატჩები						
		29 ივლისი						
21.00	329	არსენალი-ბეშიქთაში	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.00	330	ჰალმსტადი-საუთჰემპტონი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
24.00	331	ინტერი-შტუტგარტი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
01.30	332	სპორტინგი-ბრიუგე	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72

ფორმულა 1. გერმანია. 2 აგვისტო. (12.00)

4001 გამარჯვებული	სამეული	ექვსეული	4002 უსწ. წრე
მ.შუმახერი ------------- 2,5	4101 ----------- 1,25	4201 ------------- 1,12	2,5
ბარიკელო -------------- 6,0	4102 ----------- 1,85	4202 ------------- 1,25	5,0
რაიკონენი -------------- 6,0	4103 ------------1,9	4203 ------------- 1,25	4,6
მონტოია ---------------- 3,8	4104 ------------1,5	4204 ------------- 1,25	4,0
კულტჰარდი ---------- 12,0	4105 ------------3,6	4205 ------------- 1,45	12,0
რ.შუმახერი ------------ 3,5	4106 ------------1,4	4206 ------------- 1,15	4,0
ალონსო -------------- 25,0	4107 ------------4,6	4207 -------------- 1,5	20,0
ტრული --------------- 40,0	4108 ------------7,5	4208 -------------- 2,0	40,0
ბატონი --------------- 75,0	4109 ----------- 15,0	4209 -------------- 2,8	75,0
ვილნევი ------------- 100,0	4110 ----------- 20,0	4210 -------------- 4,0	100,0
ფიზიკელა ----------- 100,0	4111 ----------- 20,0	4211 -------------- 4,0	100,0
პანისი ------------- 100,0	4112 ----------- 20,0	4212 -------------- 4,0	100,0
ვებერი -------------- 75,0	4113 ----------- 15,0	4213 -------------- 2,6	75,0
ფრენცენი --------- 100,0	4114 ----------- 25,0	4214 -------------- 4,0	100,0
ჰაიდფელდი --------- 100,0	4115 ----------- 25,0	4215 -------------- 4,0	100,0
დი მატა ------------- 100,0	4116 ----------- 25,0	4216 -------------- 4,0	100,0

4301 გამარჯვებული გუნდი
ფერარი ------------------------------ 1,75
მაკლარენი ---------------------------- 4,0
უილიამსი ----------------------------- 1,8
რენო -------------------------------- 15,0
ზაუბერი ------------------------------ 50,0
ბარ ---------------------------------- 40,0
ჯორდანი ------------------------------ 50,0
ტოიოტა ------------------------------- 50,0
იაგუარი ------------------------------- 40,0
მინარდი ----------------------------- 200,0



თამაზ ოქრუაშვილის გუნდი სლოვაკეთში ღვთის იმედით მიემგზავრება

საქართველოს ნაკრებებიდან წლეულს მხოლოდ ჭაბუკ კალათბურთელებს ელით საერთაშორისო მატჩები და ამის მიუხედავად, მათ მაინც არ ულხინთ. ნაკრების მწვრთნელ თამაზ ოქრუაშვილს შემადგენლობის მხრივაც აქვს პრობლემები და ვერც ორგანიზაციული საკითხებითაა მთლად კმაყოფილი. 6 აგვისტოს კი სლოვაკეთში ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი იწყება, სადაც ქართველთა მეტოქეები ფრანგები, სლოვაკები, ბელგიელები, პოლონელები და ლუქსემბურგელები არიან. მათთან ბრძოლაში ოქრუაშვილს ყველაზე მეტად ღმერთის ეიმედება

საქართველოს ნაკრები ყველაზე ღარიბი და ყველაზე მორწმუნეა

— სლოვაკეთში მომზადებულები მიემგზავრებით?

— სანახევროდ მომზადებულები, ჩვენზე ულარიბესი გუნდი სლოვაკეთში არ იქნება.

— პრობლემები გაქვთ?

— როდის არ გვქონია პრობლემები... ტრადიციულად, ბოლო დღეს უნდა მივიღოთ ფული. ღმერთის წყალობით, ალბათ მივიღებთ.

— ვიზების პრობლემაც გქონდათ...

— უკრაინამ უარი გვითხრა სლოვაკური ვიზების გაცემაზე და პასპორტები მოსკოვში გავგზავნეთ. თავიდან ისე ჩანდა, რომ ველარ მოესწრებოდა, მაგრამ ახლა გავიგეთ, რომ ვიზებს დროულად მივიღებთ მოსკოვიდან.

— შემადგენლობა საბრძოლოა?

— ჩემი აზრით, ოპტიმალური გუნდი შევკრიბეთ, ეგაა, ცენტრის პრობლემა გვაქვს. თუ გაჭირდა, უცენტროდ, ორი თავდამსხმელითაც შეიძლება თამაში. ვნახოთ, რა გამოგვივა.

— ოლიმპიაკოსელი გიორგი მამაცაშვილი სლოვაკეთში ველარ მოდის. ალბათ, უკანა ხაზიც შესუსტდება...

— მამაცაშვილი ფორმაში არ იყო და იმიტომაც არ მოდის სლოვაკეთში. ჯერ იყო, გიორგი ერთი კვირით გვიან ჩამოვიდა საბერძნეთიდან და თან, უვარჯიშებელი. აქაც ვერ წარმოაჩინა თავი და ნაკრებში მის აყვანაზე უარი ვთქვი.

— გავიგეთ, მამაცაშვილისთვის ნაკრებში უთქვამთ, ბერძნებს თავისთვის უნდიხართ და საქართველოს ნაკრებში ერთი მატჩი მაინც უნდა გათამაშოთ, რომ მათ ნაკრებში ველარ აგიყვანონო...

— ეგ საკითხი მე არ მეხება და ვერაფერს გეტყვით. ვიმეორებ, მამაცაშვილი ფორმაში არ იყო და გუნდში იმიტომ არ ავიყვანე. რაც შეეხება ბერძენთა ნაკრებში მის თამაშს, მხრებზე თავი ადგას და თავად გადაწყვეტს.

— სლოვაკეთში კიევის გავლით მიდიხართ. ამხანაგური მატჩი ხომ არ დაგიგეგმავთ?

— უკრაინის ჭაბუკთა ნაკრებს ვეთამაშებით. მათაც ელით საკვალიფიკაციო მატჩები, თუმც ჩვენზე გაცილებით ძლიერ ჯგუფში არიან იტალიასთან და სერბია-ჩერნოგორიასთან ერთად.

— როგორ ფიქრობთ, დაძლევთ სლოვაკურ ბარიერს?

— შემდეგ ეტაპზე სამი საუკეთესო ნაკრები გავა, მაგრამ მოვხვდებით თუ არა გამსვლელთა შორის, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის.

ბერძნებმა და ქართველებმა მამაცაშვილი ვერ გაიყვეს

თამაზ ოქრუაშვილმა ოლიმპიაკოსელი გიორგი მამაცაშვილი სასლოვაკეთოდ გამზადებულ ჭაბუკთა ნაკრებში არ აიყვანა, ფორმაში არ არისო, მაგრამ თავად კალათბურთელის თქმით, არც მთლად ასეა საქმე. მამაცაშვილის განცხადებით, ნაკრებში მის თამაშს ობიექტურმა მიზეზებმა შეუშალა ხელი, სწორედ ამიტომ მოკვეთეს ჭაბუკთა გუნდიდან. მამაცაშვილი გაზაფხულზე შეუერთდა ბერძნულ გრანდ „ოლიმპიაკოსს“ და რამდენიმე თვეში სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა კიდევ სამი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. 16 წლის გიორგი ოლიმპიელთა ძირითად გუნდთან კი ვარჯიშობდა, მაგრამ ოფიციალურ თამაშებში ვერ მონაწილეობდა, რადგან სრულიად ახალგაზრდას სათამაშო კლასი ხელს არ უწყობდა

გიორგი მამაცაშვილს საბერძნეთში წასვლის ობიექტური მიზეზი აქვს

მამაცაშვილი თბილისში ორიოდ კვირის წინ დაბრუნდა და უმალ ეროვნულ, შემდეგ კი ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს. გიორგი გეგმავდა, რომ „ოლიმპიაკოსს“, რომელსაც 4 აგვისტოს ეწყება შეკრება და სლოვენიაში მოემზადება, სლოვაკეთიდან, ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებმოვლილი შეუერთდებოდა. თუმც ბერძნებმა მამაცაშვილს შემოუთვალეს, 4 აგვისტოსვე უნდა ჩამოხვიდეო.

— „ოლიმპიაკოსიდან“ დამირეკეს, უსიკვდილოდ ჩამოდი, მთელი გუნდი ვიკრიბებით და შენც აქ უნდა იყოო — თქვა მამაცაშვილმა — ძირითადში რომ ადგილი მქონდეს გარანტირებული, კიდევ შეიძლებოდა, არ წავსულიყავი, მაგრამ ბერძნებს ახლა როგორ ვუთხრა უარი, რას მეტყვიან: თავიდანვე ურჩობას ხომ არ დაიწყებ?! ჭაბუკთა ნაკრებში ვერ გამიგეს, მითხრეს, აგერ, მარკოიშვილი ბენეტონელია და მაინც ჩვენთან ერთად მოდის სლოვაკეთშიო. მანუჩარის დღეში რომ ვიყო, ძირითად შემადგენლობაში ადგილი მქონდეს გარანტირებული, კლუბში არც მე წავიდოდი“ — ამბობს გიორგი.

მამაცაშვილი „ოლიმპიაკოსის“ შეკრებაზე წასვლას იმითაც ამართლებს, რომ ნაკრებს საკვალიფიკაციო, ანუ შედარებით დაბალი დონის ტურნირი ელის სლოვაკეთში. ფინალური ეტაპი რომ იყოს, შეიძლებოდა რისკზე წასვლა და ოლიმპიაკოსელთათვის უარის შეთვლაო.

არის ერთი მომენტიც. მამაცაშვილს საქართველოს ჯერ არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია და აქაურთა შიში, ეგებ ბერძნებმა პერსპექტიული ქართველის გადაბირება ინდომონო, რამდენადმე გამართლებულია. გიორგის თქმით, ამიტომაც მოითხოვდნენ მისგან სლოვაკეთში წასვლას და ნაკრებში თუნდაც ერთი შეხვედრის ჩატარებას. „ბერძნები პასპორტს გაგიკეთებენ და თავიანთ ნაკრებში გათამაშებენო, მეუბნებიან აქ. არ ვიცი, ეგებ იმიტომაც მივყავდით სლოვაკეთში, რომ მხოლოდ ერთ ოფიციალურ მატჩში ვეთამაშებინეთ. მამაჩემს პირდაპირ უთხრეს, შენი შვილი მე-12 კაცად მიგვყავს სლოვაკეთშიო. საბერძნეთის ნაკრებში თამაშს რომ ვაპირებდე, აქაურ ნაკრებში არ ვივარჯიშებდი“ — გულგატეხილია მამაცაშვილი.

ვფიქრობთ, მამაცაშვილის ყოფნა-არყოფნა დღეს დიდად ვერ იმოქმედებს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებზე, მაგრამ გავა დრო და ეგებ მის მარჯვენაზე ბევრი რამ იყოს დამოკიდებული. მამაცაშვილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში არ აიყვანეს, ევროპული გრანდი კი შეკრებაზე ექაჩება. ნეტავ, რაშია საქმე?

ირაკლი პერტაია

„ორლანდო მეჯიქში“ ჩარიცხვის შემდეგ დაარხეინებული ზაზა ფაჩულია თავის ძველ კლუბ „ულქერში“ გამოსამშვიდობებლად მივიდა. სტამბოლელები ყოფილ თავისიანს ამრეზით დაუხვდნენ, რატომ გვტოვებო. თურქების პოზიცია გასაგებია, ვის გაუხარდება ხეირიანი მოთამაშის დაკარგვა?! თუმც ზაზასაც ვერავინ გაამტყუნებს, სტამბოლს ორლანდო რომ ამჯობინა



მიღრენთ, მაგრამ მაინც მიყვარხართ!

ფაჩულია თურქეთში ტკბილ მოგონებებს აგროვებს

— „ულქერში“ ძალიან გაბრაზებულები დამხვდნენ, სწყინთ, კლუბს რომ ვტოვებ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რაც ერთ კლუბს არ სიამოვნებს, მისი მოთამაშე ნბაში რომ მიდის. მაგრამ თურქებს სერიოზულად სწყენიათ ჩემი წასვლა და დამჟავებული სახეებით დამიხვდნენ.

— აბა, რას ელოდნენ, უარს იტყოდი „ორლანდოში“ თამაშზე?

— დრაფტზე 42-ე ნომრად რომ ამირჩიეს, აქ თურმე ზეიმი ჰქონდათ, არ ეგონათ, ორლანდოელები პირველივე წელს თუ გამიფორმებდნენ კონტრაქტს. ფიქრობდნენ, ამერიკელები ისევ ევროპაში გამომიშვებდნენ და მომავალ სეზონშიც მათთან ვითამაშებდი, მაგრამ საზაფხულო ლიგის შემდეგ აზრი შეეცვალათ.

— სულ ცხვირაბზუებულები ხომ არ იყვნენ, ერთი-ორი ტკბილი სიტყვა არ გითხრეს?

— ტკბილი სიტყვა ის იყო, რომ მითხრეს, ათეულში არჩევას იმსახურებდიო. საზაფხულო ლიგა ძალიან ძლიერად ჩაატარე, ყველას აჯობეო, შემაქეს.

— ჰოდა, ეტყობა, იმაზეც სწყდებათ გული, რომ დრაფტზე შენი მაღალ ნომრად არჩევის შემთხვევაში ამერიკელებს მეტ ფულს გამორჩებოდნენ.

— არა, რომელიმე გუნდს პირველ წრეშიც რომ ავერჩიე, „ულქერი“ მაინც 350 ათასს მიიღებდა. კონტრაქტში ასე ეწერა და თურქები მეტს ვერ მოითხოვდნენ.

— „ულქერთან“ აღარაფერი გაკავშირებს?

— ოფიციალურად არაფერი და ისე, ექვსწლიანი კარგი ნაცნობობა, რომლის დავიწყებაც არ შემიძლია. დღეს საბოლოოდ მივალ კლუბში, ყველას სათითაოდ ვნახავ, მადლობას ვეტყვი და გამოვემშვიდობები.

— ულქერელთა გარდა სტამბოლში არაერთი ახლობელიც გყავს...

— ახლა სწორედ მათთან ერთად ვარ რესტორანში. სტამბოლელი მეგობრები გვერდიდან არ მშორდებიან. იციან, რომ კარგა ხანს ველარ მნახავენ და სურთ, რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარონ ჩემთან.

— დასასვენებლად როდის მიდიხარ?

— ორ დღეში ანთალიაში წავალ ორი კვირით. ძალიან გადაღლილი ვარ. ფიზიკურ დატვირთვებს თავი დავანებოთ, სანერვიულო და საფიქრალიც ძალიან ბლომად მქონდა ამ სეზონში.

— თურქეთში რომ არ დაგესვენა, ფლორიდაში არ იყავი, მაიამი ბიჩზე უკეთეს ადგილს სად ნახავდი?!

— ისიც მეყოფა, ორი წელი ფლორიდაში რომ უნდა გავატარო. იქ ვიქნები და მაიამიშიც ხშირად ჩავალ ხოლმე დასასვენებლად. თურქეთი იმიტომაც ვარჩიე, რომ ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. მინდა, ანთალიაში კარგად დავისვენო და მეტი ტკბილი მოგონება გავიყოლო თურქეთიდან.

— მომდევნო გაჩერება თბილისია?

— რა თქმა უნდა, თბილისშიც ჩამოვალ. მანდაურებსაც დავემშვიდობები, მერე კი მე და, ალბათ, დედაჩემიც სექტემბრისთვის ორლანდოში წავალთ.

ირაკლი პერტაია

კორია უკვე ორია

გილერმო კორია

GENERALI OPEN

კიცბიუელი. თიხნარი

საპრიზო 925 ათასი ევრო

მესამე წრე

ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 7:6 (7:4), 6:3; **გილერმო კორია** (2, არგენტინა) — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 6:1, 6:0; **ხუან იგნასიო ჩელა** (8, არგენტინა) — მაქს მირნი (10, ბელარუსი) 6:4, 3:6, 7:6 (8:6)

მეოთხედფინალი

მარიანო საბალეტა (9, არგენტინა) — ფერერო 6:1, 6:4; **კორია** — ჩელა 6:3, 6:1; **ფელისიანო ლოპესი** (13, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (7, არგენტინა) 6:2, 6:7 (2:7), 7:5; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 7:5, 6:4

ნახევარფინალი

კორია — ლოპესი 6:1, 6:2; **მასუ** — საბალეტა 6:2, 6:1

ფინალი

კორია — მასუ 6:1, 6:4, 6:2

ბოლო ორი კვირის განმავლობაში 21 წლის უნიჭიერესი არგენტინელი გილერმო კორია აქილევსისვით მოუწყვლელად და უდანაკარგოდ ჩოგნაობს.

თავად განსაჯეთ: კიცბიუელში ის შტუტგარტულ თიხნარზე გაჩემპიონების შემდეგ ჩავიდა და გერმანული კორტების დარად ავსტრიულზეც ისე შლეგიანად გაირჯა, მეტოქეებისთვის ქეციანი სეტიც არ დაუთმია.

შედეგად — უკანასკნელ ორ კვირაში მას მიჯრით მოგებული ორი ტიტული, 10 მატჩი და 22 სეტი დაუგროვდა, სხვებს კი ჯამში მხოლოდ 42 გეიმი მოაგებინა — 19 შტუტგარტში, 23 კიცბიუელში.

ჩილელ ნიკოლას მასუსთან მან კვირას კარიერის მერვე ფინალი ითამაშა და კარიერისავე მეოთხე, ხოლო სეზონის მესამე ტიტული მოიმკა. ვებ თქვენც გახსოვდეთ — შტუტგარტში გამარჯვებამდე ორი თვით ადრე კორიამ ჰამბურგულ მასტერსტურნირზეც იხეირა.

სხვაფრივ — კიცბიუელურმა წარმატებამ გაუჩოს 160 ათასი ევრო და 60 საჩემპიონთარბოლო ქულა მოუტანა. ამის გამო მან რბოლაში აქამდე ქონებული მეოთხე ადგილი ანდრე აგასის მესამეზე გადაუცვალა და ახლა მხოლოდ პირველოსან ხუან კარლოს ფერეროსა და მეოროსან როჯერ ფედერერს ჩამორჩება.

სულ ბოლოს მასუზეც უნდა ვთქვათ კორიასთან წაგებული მატჩი მისი მეხუთე საკარიერო ფინალი იყო და ამისწინა უქმეებზე ამსტერდამში ნაპირველარ მასუს შანსი ჰქონდა, ზედიზედ მეორე, ხოლო კარიერის მესამე ტიტული მიეთვალა.

როგორც ფინალმა ცხადყო, მასუს არც არავითარი შანსი არა ჰქონია — კორიამ ის ისე მოსრა, ერთ ბრეიკპოინტზეც არ გაიკარა. მაშ!

RCA CHAMPIONSHIPS

ინდიანაპოლისი. ჰარდი

საპრიზო 600 ათასი დოლარი

მეოთხედფინალი

ენდი როდიკი (1, აშშ) — ქსავიე მალისი (9, ბელგია) 6:4, 6:1; **პარადორნ შრიჩაფანი** (2, ტაილანდი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:4, 6:2; **სხენგ შალკენი** (3, ჰოლანდია) — რობი ჯინეპრი (7, აშშ) 1:6, 6:1, 6:2; **ნიკოლას თომანი** (საფრანგეთი) — ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) 7:6 (7:2), 7:5

ნახევარფინალი

როდიკი — შალკენი 6:3, 6:2; **შრიჩაფანი** — თომანი 4:6, 7:6 (7:5), 6:3

ფინალი

როდიკი — შრიჩაფანი 7:6 (7:2), 6:4

დიახ — აქ ყველა სწორედ ასეთ ფინალს მოელოდა. და, რა დასამალია, არავის ეპარებოდა ეჭვი, წლეულს ძალზედ სტაბილურად მოჩოგნავე, სხვათა შორის, ორ სლემნახევარფინალშიც გამობრძმეყილი ენდი როდიკი კარიერის მერვე, ხოლო სეზონის მესამე ტიტულს რომ მოიხვეჭდა.

ჰოდა, მოიხვეჭა კიდეც. იმის მიუხედავად, რომ ტაილანდელი შრიჩაფანისთვის ჰარდი სათულფე საფარია და ამ საფარზე შარშან მან ამქრის საუკეთესო, 40-მოგებიანი შედეგი აჩვენა, სამშობლოში მოგლაჯუნე ენდიბოისთვის ის არც ისე მძიმედ მოსანელებელი მეტოქე გამოდგა.

შრიჩაფანთან როდიკმა სეზონის მეხუთე ფინალი ითამაშა — ადრესეზონისას ჰიუსტონურსა და მემფისურ ჰარდფინალებში დამარცხების შემდეგ მან ჯერ ზანკტპიოლტენურ თიხნარზე იმარჯვა, მერე კი — ქუინზკლაბურ ბალახზე.

ინდიანაპოლისურმა გამარჯვებამ მას ამერიკაში მორეწილ მეექვსე ტიტულთან ერთად 74 ათასი დოლარიც არგუნა. ახლა ის წლეულს 12 მარცხის წილ უკვე 40 გამარჯვებას მოიძევს და ეს უკვე ზედიზედ მესამე წელია, 40-მოგებიან თამასას სცილდება. შარშანწინ მან სეზონი ასეთი ბალანსით გაასრულა — 42:16, შარშან კი უკეთესი მაჩვენებელიც ჰქონდა — 56:22.

ჰო, მართლა — როდიკიცა და შრიჩაფანიც ინდიანაპოლისში პირველად გამოდიოდნენ.

ჩემპიონთა რბოლაში როდიკი ახლა მეხუთე ადგილზეა.

ხორვატიის ღია პირველობა

უმაგი. თიხნარი

საპრიზო 400 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

კარლოს მოია (1, ესპანეთი) — დავიდ ფერერი (8, ესპანეთი) 6:1, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი** (7, იტალია) — ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) 4:6, 6:2, 7:6 (7:4); **რაფაელ ნადალი** (6, ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:3, 6:4; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:5, 6:2

ნახევარფინალი

მოია — ნადალი 6:4, 6:4; **ვოლანდრი** — ჰრბატი 7:6 (8:6), 6:1

ფინალი

მოია — ვოლანდრი 6:4, 3:6, 7:5

კარლოს მოია გახდა პირველი მეჩოგნე, ვისაც ხორვატიის ღია პირველობაზე მეოთხედ გაჩემპიონება მოახერხა. ამით მან უკან ჩამოიტოვა უმაგის სამგზის ჩემპიონი, სახელოვანი ავსტრიელი ტომას მუსტერი.

ეს მოიას მე-14 საკარიერო და მესამე საამსეზონო ტიტულია — უმაგამდე მან ბუენოს აირესულსა და ბარსელონურ თიხნარზეც იპირველა.

ახლა მას 13 მარცხის სანაცვლოდ 44 გამარჯვება მოეძევება. ხოლო უმაგურ კორტებზე (55 ათასი ევროს გარდა) მოპოვებულმა 35 ქულამ ჩემპიონთა რბოლაში აქამომდელი მეშვიდე ადგილიდან (რაინერ შიუტლერისეულ აქამომდელსავე) მეექვსე ადგილზე აღაზევა.

რაც შეეხება ვოლანდრის, ეს მისი პირველი საეიტიპიო ფინალი გახლდათ და მას შეეძლო (უფრო სწორედ — არ შეეძლო), გამხდარიყო წლეულს რაგინდარა ტიტულის მომხაფავი იტალიელი. უკანასკნელი მისქვეყნელი, ვინაც რაიმე ტიტული მოიპოვა, დავიდე სანგვინეტი იყო — მან შარშან მარტში, დელრიბიჩურ კორტზე იმარჯვა.

BANK OF THE WEST CLASSIC

სტენფორდი. ჰარდი

საპრიზო 635 ათასი დოლარი

მეოთხედფინალი

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 4:6, 6:0, 6:1; **ჯენიფერ კაპრიატი** (3, აშშ) — ლიზა რეიმონდი (9, აშშ) 6:1, 6:7 (5:7), 6:4; **მარია ვენტო-კაბში** (ვენესუელა) — ელენა დოკიჩი (5, სერბეთი და ჩერნოგორია) 6:4, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ემი ფრეზერი (აშშ) 7:6 (7:5), 6:3

ნახევარფინალი

კლაისტერსი — სკიავონე 6:3, 6:2; **კაპრიატი** — ვენტო-კაბში 6:4, 6:4

ფინალი

კლაისტერსი — კაპრიატი 4:6, 6:4, 6:2

კიმ კლაისტერსისთვის სტენფორდული მაგარსაფარი აშკარად წარმატებული სარბიელია — შარშანწინ მან იქ ჩემპიონის ტიტული იშოვა, შარშან ფინალამდე გაალწია და მხოლოდ ვინუს უილიამსს წამოექცა, წლეულს კი, რაკიღა ვინუსმა მუცლის მოშუშება არჩია, ხოლო სერენამ — მუხლის, ის კვლავ უძლიერესი გახლდათ.

ეს მისი მეხუთე საამსეზონო და მე-15 საკარიერო ტიტულია. მან წლეულს კიდევ ოთხი ფინალი ითამაშა, მაგრამ ისევე როგორც როლანგაროსობის გადამწყვეტი მატჩის (თვისტომ ჟუსტინ ენენთან), ამათი მოგება ველარ შეძლო.

საკუთრივ კაპრიატის კი ის უკვე მეხუთედ შეხვდა და მხოლოდ მეორედ აჯობა. კაპრიატის მიერ მოგებული სამიდან ერთ-ერთი, იქნებ თქვენც მოიგონოთ, 2001 წლის როლანგაროსული ფინალიც იყო, რომლის გადამწყვეტი სეტიც კიმმა 10:12 დათმო.

ჰოდა, აი, კიმის მორიგი შურისძიებაც. რომელიც მით უფრო ტკბილია, რომ გაფუებულ ბელგოგოს ჩოგანზე 97-ათასდოლარიანი ჩეკიც წამოაცმევინა.

ლევან ძილაურაძე

WRC **მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. VIII ეტაპი. გერმანია**

კაიზერ ლოების მეორე გერმანული ტრიუმფი





სებასტიენ ლოების „სიტროენმა“ გერმანიაში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა

გერმანიის მოასფალტებულ, ოღონდ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ გზებზე გაჯირითებით დაიწყო მერალეთა 25-ე მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ნახევარი.

398-კილომეტრიან ჩქაროსნულ დისტანციაზე (სულ კი 79 ეკიპაჟს სამ დღეში 1737 კმ უნდა გაევლო), უპირატესობა ამჯერადაც ფრანგული ავტო-ვეშაპების, „სიტროენისა“ და „პეჟოს“ მხარეს იყო. მიუხედავად იმისა, რომ 22 ჩასათვლელი მონაკვეთიდან თითქმის ნახევარი (10) მარკო მარტინმა მოიგო, ესტონელის „ფორდმა“ სიჩქარეთა კოლოფში ხარვეზების გამო იმდენი დრო დაკარგა, რომ ოთხი უბნის მერე ლიდერი უცბად მეათე პოზიციაზე გადავარდა და მხოლოდ შესაშური ბრძოლისუნარიანობით შეძლო რბოლის ხუთეულში დასრულება.

თავიდან ბრიტანელი რიჩარდ ბარნსი დაწინაურდა, მაგრამ მასაც შეექმნა პრობლემები და მეორე დღეს ლიდერობა პეჟოელ თანაგუნდელს, შარშანდელ ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმს „გადააბარა“. თუმც დიდხანს ვერც ფინელმა გაძლო — შუა დისტანციაზე, მე-13 უბნიდან მოყოლებული, რბოლას სათავეში სებასტიენ ლოები და მისი მონაკოელი შტურმანი დანიელ ელენა მოექცნენ და ბოლომდე აღარც დაუთმით პირველობა. ეს მათ შარშან დაწყებულ სარალო კარიერაში მესამე მოგებული ეტაპია, ამასთან ზედიზედ მეორედ გერმანიაში. ჟურნალისტებსაც, ცხადია, მეტი არ უნდოდათ და 29 წლის ფრანგი უცებ მონათლეს „კაიზერ ლოებად“. „სებმა“ სატურნირო ცხრილში ორი ადგილით აინაცვლა და, როგორც იტყვიან, ერთი მოგების მანძილზე წამოეწია ჯერ ისევ ლიდერ ბარნსს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ წლეულს ერთხელაც ვერ გაუმარჯვია, ისე სტაბილურად ჯირითობს (ხუთი პოდიუმი), კვლავაც ინარჩუნებს მეწინავეობას.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	3სთ; 46.50,4
2	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	ჩამორჩა 3,6
3	რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო)	19,7
4	კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი)	31,4
5	მარკო მარტინი (ფინეთი, ფორდი)	57,9
6	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	1.38,6
7	ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი)	1.48,9
8	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	2.30,0

საერთო ჩათვლა

1. რიჩარდ ბარნსი 43 ქულა; 2. კარლოს საინსი 39; 3. მარკუს გრონჰოლმი 38; 4. სებასტიენ ლოები 33; 5. პეტერ სოლბერგი 30; 6. კოლინ მაკრეი 28; 7. მარკო მარტინი 27; 8. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 16; 9. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) 15; 10. ფრანსუა დიუვალი 11

კონსტრუქტორთა თასი

პეჟო 95 ქულა, სიტროენი 88, ფორდი 50, სუბარუ 49, შკოდა 20, ჰიუნდაი 7

ტურ დე ფრანსი 2003

ბედნიერი ბედის მაძიებელი

ლენს არმსტრონგი ჩემპიონიც მომავალზე ფიქრობს

ტურ დე ფრანსი კვლავ ლენს არმსტრონგის ტრიუმფით გასრულდა. ამერიკელმა ზედიზედ მეხუთედ მოიგო უპრესტიჟულესი ველოტური და ტურ დე ფრანსის რეკორდების ნუსხაში გვერდით ამოუდგა ლეგენდარულ ესპანელ მიგელ ინდურაინს, რომელსაც 1991-95 წლებში ასევე ზედიზედ ხუთჯერ მოუგია ტური.

ხუთიანთა კლუბში არმსტრონგი მეხუთეა. მის და ინდურაინის წინ ტურის ხუთჯერ მოგება კიდევ სამ მრბოლს მოუხერხებია, თუმცა არა ზედიზედ. ესენი გახლავან ბელგიელი ედი მერქსი, ფრანგი ჟაკ ანკეტილი და ასევე ფრანგი ბერნას ინო.

ინომ პირველმა მოულოცა ჩემპიონობა ტეხასელს, უთხრა, კეთილი იყოს შენი მობრძანება ხუთიანებშიო. არმსტრონგმა, ცხადია, გულითადად მიიღო მილოცვები და ისე ჩანდა, ბედნიერიც იყო ამ დიდი გამარჯვებით, მაგრამ არა თავდავიწყებით ბედნიერი, რადგან ტური ჯერ არც დასრულებულიყო და ის უკვე მომავალზე ფიქრობდა — „მე მიყვარს ველორბოლა, მიყვარს ჩემი სამუშაო და კიდევ დავბრუნდები საფრანგეთიში, რათა ტური მეექვსედ მოვიგო.“

ველომრბოლიც ასეთი უნდა. არმსტრონგი სულ წინ და წინ მიიწევს და არ სურს გაჩერება. მეექვსე ჩემპიონობა სულაც არაა არარეალური გეგმა. არმსტრონგი ახლა 31 წლისაა და ამ ასაკში სპორტის ამ სახეობისთვის ღრმა ვეტერანად არ ითვლება, მაგრამ მომავალში მას წინა წლებთან შედარებით გაუჭირდება.

წლევანდელი ტური არმსტრონგმა წუთზე ოდნავ მეტით თუ მოუგო მარადიულ მდევარ იან ულრიხს. არადა, წინა ფრანგულ წრეებს ის 6-7 მუდამ წუთს სხვაობით იგებდა.

იან ულრიხიც ჯერ არ აპირებს დანებებას. არადა მას გაწბილების ბევრი საბაბი აქვს — 1997 წელს ჩემპიონობასთან ერთად 5-ჯერ მეორე ადგილს დაავჯერეს და თანაც, მესამედ წააგო არმსტრონგთან.

ულრიხმა, რომელმაც წინა მცდელობებთან შედარებით ახლა მართლა გააწვალა არმსტრონგი, ჩემპიონობის პრაქტიკული შანსი ტურის ბოლოსწინა, მე-19 ეტაპზე დაკარგა, როცა ინდივიდუალური 49-კილომეტრიანი ეტაპის დამთავრებამდე ასე ათიოდ კილომეტრით ადრე წაიქცა და ტემპი დაკარგა. არადა, ულრიხს სწორედ ინდივიდუალური რბოლის იმედი ჰქონდა, რაკი მე-12, ასევე ინდივიდუალურ ეტაპზე არმსტრონგს წუთნახევარი მოუგო. ახლაც ასე რომ გამართლებოდა, ტურს სხვა ჩემპიონი ეყოლებოდა.

ულრიხს ვერ გამოუვიდა შეტევა, რაკი პორნიკიდან ნანტამდე გაჭიმულ გზას აწვიმდა და ატლანტის ოკეანიდან ქარიც ქროდა. გერმანელმა მაინც თავპირისმტვრევით დაიწყო თავისი რბოლა და როგორც შემდეგ გაირკვა, მარტო პირველ კილომეტრზე ექვსი წამი მოუგო არმსტრონგს, მაგრამ მერე მოიღალა და შემდეგ საერთოდ მოსრიალდა მოსახვევში. არმსტრონგი ულრიხის შემდეგ მოდიოდა და რა შეიტყო, გერმანელმა დრო დაკარგაო, თავადაც დააგდო ტემპი და წაქცევის რისკიც შეამცირა. საბოლოოდ ინდივიდუალურ გარბენში არმსტრონგმა მესამე დრო აჩვენა და 11 წამით აჯობა ულრიხს.

რაც შეეხება ბოლო ეტაპს, მასზე სათქმელიც არაფერია. ულრიხმა ვერ შეძლო ჩამორჩენის მნიშვნელოვნად დაფარვა და არმსტრონგმა საბოლოო ჩათვლაში პირველმა დაასრულა 2003 წლის ტურ დე ფრანსი.

ძოტე ყორში



იან ულრიხს კვლავ მოეცარა ხელი

ლენს არმსტრონგი უკვე ხუთგზის ტრიუმფატორია

AP პარი ზიდან

XIX ეტაპი. 26 ივლისი

პორნიკი — ნანტი 49 კმ

1 დავიდ მილარი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 55წთ 5წმ
2 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, Team CSC) + 9წმ
3 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) + 14წმ
4 იან ულრიხი (გერმანია, ბიანკი) + 25წმ
5 ლასლო ბოდროგი (უნგრეთი, ქუიქ სტეპი) + 26წმ

XX ეტაპი. 27 ივლისი

ვილე დავრაი — პარიზი 152 კმ

1 ჟან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი, ჟან დელატური) 3სთ 38წთ 29წმ
2 ბადენ კუკი (ავსტრალია, FDJeux.com)
3 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)
4 ლუკა პაოლინი (იტალია, ქუიქ სტეპი)
5 ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი 83სთ 41წთ 12 წმ
2 იან ულრიხი + 1წთ 1წმ
3 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 4წთ 14წმ
4 ტაილერ ჰამილტონი + 6წთ 17 წმ
5 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკატელი) + 6წთ 51 წმ
6 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 7წთ 6წმ
7 ივან ბასო (იტალია, ფასა ბორტოლო) + 10წთ 12წმ
8 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) + 12წთ 28წმ
9 კარლოს სასტრე (ესპანეთი, Team CSC) + 18წთ 39წმ
10 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, iBanesto.com) + 19წთ 15წმ

გუნდური პირველობა

1 TEAM CSC 248სთ 18წთ 18წმ
2 iBanesto.com + 21წთ 46წმ
3 ეუსკატელი + 44წთ 59წმ
4 US პოსტალი + 45წთ 53წმ
5 ბიანკი + 1სთ 12წთ 40წმ

ქულის მეფე

რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი)

საუკეთესო სპრინტერი

ბადენ კუკი (ავსტრალია, FDJeux.com)

საუკეთესო ახალგაზრდა

დენის მენშოვი (რუსეთი, iBanesto.com)

სამი ერი 2002

26 ივლისი. სიდნეი
ავსტრალია 21:50 ახალი ზელანდია

ავსტრალია: ბერკი (ლატამი), სეილორი, როჯერსი, ფლეტლი (ს. კეფუ), ტუკირი, ლარკემი, გრეგანი (კაპ); იანგი, ქენონი, ნორეიგა (დარვინი), გიფინი, ვიკერმანი (შარპი), სმიტი (ფინეგანი), ჯუ. ტ. კეფუ
3ლ: ბერკი, სეილორი, როჯერსი; 2ს: ბერკი
ახალი ზელანდია: მულიაინა (რალფი), ჰაულეტი (დივაინი), უმაგა, მეიჯერი, როკოკოკო, სპენსერი (კარტერი), მარშალი; ჰიუეტი, მილამუ (ჰამეტი), სამერვილი (მიიუსი), ჯეკი, უილიამსი (ბ. თორნი), რ. თორნი (კაპ), მაკქოუ (ჰოლანი), კოლინზი
7ლ: როკოკოკო (3), ჰაულეტი, უმაგა, კარტერი, მეიჯერი; 3გ: სპენსერი (2), კარტერი; 3ს: სპენსერი

რო-კო-კო-კო!

შავებმა მეზობლები გააშავეს

ვინ შეაჩერებს ახალ ზელანდიას? – ამ კითხვას პასუხი ალბათ მსოფლიოს თასზე გაეცემა დიდი შანსია, რომ უპასუხოდაც დარჩეს, ჯონ მიტჩელის გაწვრთნილი „შავები“ გზად ყველას და ყველაფერს ლეწავენ

სამი ერის მე-2 ტურში „ოლ ბლექსმა“ მისსავე მოედანზე მაგრად შეარცხვინა მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია და დაამტკიცა, რომ მარტო სამი ერის კი არა, წლევანდელი მსოფლიოს თასის ფავორიტიცაა.

„მათ მსოფლიოში საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავთ, ძალიან ახალგაზრდა და მძლავრი მოიერიშეები“ — წაგებული მატჩის შემდეგ მეტოქეს საქებარი სიტყვები არ დაამადლა ავსტრალიელთა ლიდერმა მეტიუ ბერკმა. „რა უნდა ვთქვა? ახალი ზელანდია დღეს მსოფლიოში საუკეთესო ნაკრებია!“ — ეს კი ავსტრალიელთა მწვრთნელის ედი ჯონსის ბლიც-კომენტარია.

თუ სასწაული არ მოხდა, ახალი ზელანდია მიჯრით მეორედ იჩემპიონებს სამ ერზე ამ გამარჯვებით „ოლ ბლექსი“ სამხრეთ ნახევარსფეროში გაბატონდა და თან სამშობლოში ავსტრალიელებთან საკიცლო „ბლედისლოეს თასი“ გაიყოლა.

მატჩის ბედი პირველი ტაიმის შუაში გადაწყდა. ანგარიში 8:8 იყო, როცა ავსტრალიელთა მოზვერმა გარემარბმა ვენდორ სეილორმა დაკიდებული ბურთისთვის ამხტარი მაილზ მულიაინა ჰაერში „გაკვანძა“ და მსაჯს თავი 10 წუთით გაავდებინა. როდესაც სეილორი მოედანს დაუბრუნდა, უკვე გვიანი იყო. ამ დროისთვის „ოლ ბლექსის“ ბრწყინვალე მოიერიშეებს რიცხვნაკლული მეტოქის დარბევა მოესწროთ და 25:8 გაჭრილიყვნენ. „შავებიდან“ განსაკუთრებით გამოირჩა 20 წლის ჯო როკოკოკო, რომელმაც თავის მე-5 სანაკრები მატჩში სამი ლეღი გაიტანა და სულ 10(!) დაუგროვა. ეს თმახუჭუჭა მულატი გარემარბი მიტჩელმა წლეულს აღმოაჩინა და მაშინვე მომაჯალ ლიბუდ მოიხსენია. მაგრამ როკოკოკოს ‘ხლაპუული შეღეგანობის ბუუხელივად, მატჩის ბმირი მისი ძმაკაცი აარონ მეიჯერი გახდა. შრშანდელი სამი ერის აქეთ, მეიჯერი ოდენ მე-2 მატჩს ატარებდა ნაკრებში, მაგრამ ისე შეუხმატკბილდა ახალბედა მე-10 ნომერ კარლოს სპენსერს, რომ მათ ნადი ზელანდიური შეუსერეს და ხელდახელ თამაშით თვით მოსისხლე მეტოქის გულშემატკივარს მოსწონეს ტაში.

გაჩო სვანიძე

სატურნირო ვითარება

ახ. ზელანდია	2	2	0	0	+65	10
ს. აფრიკა	2	1	0	1	-32	4
ავსტრალია	2	0	0	2	-33	1

4 ლეღოს გამტან და 7 ან ნაკლები ქულით წამგებ გუნდს ენიჭება პრემიალური ქულა

მომდევნო ტური

2 აგვისტო
ავსტრალია — ს. აფრიკა

ახალზელანდიელთა შვიდი ლეღოდან ერთი აარონ მეიჯერისა იყო

REUTERS სიდნეიდან

ფეხბურთი

ჩეხეთი
I ტური
ბანიკი 3:1 გუდეიოვიცე

ფინეთი
XIV ტური
იოკერიტი 2:2 ჰაამენლინა
ტურკუ 0:2 ჰაკა

შვედეთი
XVI ტური
ჰამარბი 0:1 ლანდსკრონა
ჰელსინგბორგი 1:0 ელფსბორგი
მალმიო 2:2 სუნდსვალი

გერმანია
ლიგის თასის ფინალი
დორტმუნდი 2:4 ჰამბურგი

REUTERS ვაშინგტონიდან

კაცი-ლეგენდა

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ქვეყნის უდიდესი სამოქალაქო ჯილდო, პრეზიდენტის თავისუფლების მედალი ვადასცა ლეგენდარულ საკალათბურთო მწვრთნელს ჯონ ვუდენს. ვუდენი წვრთნიდა უქლა-ს „დათვებს“, ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდს. მის ხელქვეით „დათვები“ ათჯერ გახდნენ ამერიკის ჩემპიონები სტუდენტთა შორის.

REUTERS მოსკოვიდან

ძველი ბეჭდები

წლეულს „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ენბიეის ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ კლუბის პატრონის, ჯერი ბასის ქალიშვილი ჯეინი მაინც ხალისით გვიჩვენებს ოდინდელ საჩემპიონო ბეჭდებს. ჯეინი იმავდროულად „ლეიკერსის“ მწვრთნელის ფილ ჯეკსონის გელფრენდიცაა, ხოლო ბეჭდებს გუნდის ახალწვეულთა საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე აბრჭყვიალებს. ახალწვეულები ახალბედები სულაც არ არიან: უბერებელი კარლ მელოუნი და ძალიან მაგარი გარი პეიტონი.

ჰაკა და გამარჯვება

ყველამ იცის, რომ ეს ჰაკაა და ყველამ იცის, რომ ამ საბრძოლო ცეკვას ყველაზე ეშხიანად, მადლიანად და შემაშფოთებლად ახალზელანდიელები ასრულებენ. სამი ერის თასის თამაში სულ შავებმა სიდნეიში გაამართეს მსოფლიო ჩემპიონ ავსტრალიელებთან და უღმერთოდ, 50:21 მოუგეს.

REUTERS სიდნეიდან

რეალი კუნმინის ქუჩაზე

„რეალი“ ჩინეთშია! „რეალი“ ჩინეთშია ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ქალაქ კუნმინში, რომლის ახლოსაც ბინად დამდგარა ორკვირიანი აზიური ტურნეს წინ, „რეალის“ გარდა არაფერზე ლაპარაკობენ. ქალაქის თავთან ბექემი და რონალდო, ზიდანი და ფიგუ დაქრიან. ფლორენტინო პერესმა აზიის ინგლისელთათვის წართმევა დაისახა მიზნად და ამ საქმეში ოქროს კვერცხების მდებელ ინგლისელს მთავარ როლს აკისრებს.

REUTERS კუნმინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამეკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ეაშაიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, პაჭო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოცოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge